# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


შაბათი, 2 სექტემბერი. 2017 წ. №177-178 (8314-8315), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## როცა ცეცხლი ④ გულში გვეკიდება!



### სად ვეძებოთ ნამდვილი გმირები?

## „გაღმა ნაპირიდან“ ტყუილებს აფრქვევენ! ⑧

რუსეთის ხელისუფლება რომ იმხანად კონფედერაციის იდეის სერიოზულ განხილვაში ყოფილიყო ჩართული, 2008 წლის 26 აგვისტოს კარდინალურად განსხვავებულ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა.

## ეკოლოგიური ტერორის პირისპირ ⑥



### აბეზარას ბოლო სპექტაკლი

## ⑤ აღარ მიუშვეს ნებასა?

## ქვეყნები დიზელზე მოძრავი ავტომანქანების აკრძალვისთვის ემზადებიან

### გადამწყვეტი ბრძოლა ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ ⑨

## წინ, საქართველოვ!

## რიხიანად – სტამბოლისკენ!


⑩

## ვენეციის კომისიამ ოპოზიციას ცივი წყალი გადაასხა!

უმრავლესობის დღევანდელ განცხადებას საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით და გადაწყვეტილებას, რომ სტრასბურგში დაგეგმილ შეხვედრაში მონაწილეობას არ მიიღებენ, ვენეციის კომისიის მდივანი ტომას მარკერტი ეხმაურება:

**— ვენეციის კომისია ამ მოლაპარაკების ნაწილი არ იყო. რაც საქართველოდან შევიტყვეთ, არის ის, რომ კონსენსუსი მიღწეული არ არის. მმართველი პარტიის დღევანდელი განცხადებაც ამას ადასტურებს. ჩვენთვის დასანანია, რომ ასეა. მხოლოდ ერთი კი არა, ყველა მხარე უნდა ყოფილიყო მოქნილი. ჩვენ ველით, რომ მოგვმართავენ თხოვნით შევაფასოთ მიღებული ტექსტი. ვენეციის კომისია საკუთარ მოსაზრებას 6 ოქტომბერს გამოაქვეყნებს. შესაძლოა, ამას მოჰყვეს გარკვეული შეზღუდული ცვლილებები, რომ ტექსტი გახდეს უფრო მოქნილი ოპოზიციისთვის. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მმართველი პარტია არ გამორიცხავს გარკვეული ცვლილებების შეტანას. ამისთვის ადგილი ყოველთვის უნდა არსებობდეს. რაც შეეხება მომავალ კვირას დაგეგმილ შეხვედრას, მას ასეთი მკაცრი კონსენსუსის პირობებში, აზრი არ ექნება,** — განაცხადა „კურიერთან“ საუბრისას ტომას მარკერტიმ.




## გონიერ კაცთა მოსწრებული სიტყვა

**მარკ ტვენი** მეგობრებს მოუთხრობდა კანზასის ერთ-ერთ სასტუმროზე, რომელშიც რამდენიმე თვე იცხოვრა.

— წარმოიდგინეთ, რომ ამ სასტუმროში ყველა კედელზე ასეთი განცხადებები ეკიდა:

„ვინც ლოგინში ფეხსაცმლიანად ჩაწვება, თანხა დამატებით უნდა გადაიხადოს“.

„კარზე სამჯერ დაკაკუნება ნიშნავს, რომ სასტუმროში მკვლელობა მოხდა“.

„იკრძალება ლეიბებიდან აგურების გამოღება“.

„იმ შემთხვევისთვის, თუ ოთახში წვიმა ჩამოვიდა, საწოლებქვეშ ქოლგებია და იხმარეთ“.

„თუ ოთახში პირსახოცი არ აღმოჩნდა, სუფრით ისარგებლეთ“.

— მერედა, რამ გაგაჩერათ ეგეთ სასტუმროში, რატომ მაშინვე არ წამოხვედითო, — ჰკითხა ერთმა მსმენელთაგანმა.



— ეგ შეუძლებელი იყო, — მიუგო მარკ ტვენმა. — ის სასტუმრო მე მეკუთვნოდაო...

* * *

ერთმა ნაცნობმა ახალგაზრდა ქალმა **მარკ ტვენს** თავის ქმარზე შესჩივლა:

— ვერ გამიგია, რა ხდება! ხან მართლა ვაჟკაცივით იქცევა, ხან ქალი მგონია.

— ეგ მემკვიდრეობის ამბავია, — შენიშნა მარკ ტვენმა. — არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავის წინაპართა ნახევარი კაცები იყვნენ, ხოლო მეორე ნახევარი — ქალებიო.

* * *

თავის დროზე გახმაურებული წიგნის — „ჯენტლმენებს ქერა ქალები უფრო მოსდით თვალში“ — ავტორს **ანიტა ლუსს** პრესკონფერენციაზე ჰკითხეს, რას ეყრდნობა თქვენი ვარაუდი, რომ კაცებს ქერა ქალები უფრო მოსწონთო.

— რას ეყრდნობა და ჩემს პირად გამოცდილებას, — მიუგო მწერალმა ქალმა. — მე თვითონ შავგვრემანი ვარო.



# ირაკლი კობახიძემ აშშ-ის კონგრესის დელეგაციას უმასპინძლა

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის დელეგაციას კონგრესმენ ჰეროლდ როჯერსის ხელმძღვანელობით სამუშაო ვახშამზე უმასპინძლა.**

ირაკლი კობახიძემ სტუმრებს საქართველოში მიმდინარე საარჩევნო და საკონსტიტუციო რეფორმა გააცნო. პარლამენტის თავმჯდომარემ ისაუბრა ორი ქვეყნის თანამშრომლობის, ურთიერთდახმარებისა და არსებული ურთიერთობების მომავალში გაღრმავების მნიშვნელობაზე. კონგრესის დელეგაციის ხელმძღვანელის განცხადებით, ამერიკა ამაყობს საქართველოს მიერ გლობალური მასშტაბით დემოკრატიისა და თავისუფლების დაცვისათვის შეტანილი წვლილით, რისთვისაც მან ქართულ მხარეს მადლობა გადაუხადა.

კონგრესმენმა ჰეროლდ როჯერსმა ხაზი გაუსვა ბოლო წლების განმავლობაში, რეფორმების განხორციელების კუთხით საქართველოს წინსვლას და პროგრესს. მისი განცხადებით კონგრესს სურს, რომ საქართველოს შეუნარჩუნდეს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გამოყოფილი დახმარება, რომელიც საქართველოსთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია.

პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველო იქნება ამერიკის შეერთებული შტატების მხარდამჭერი მსოფლიოში დემოკრატიისა და თავისუფლების გასამარჯვებლად. ამერიკის შეერთებულ შტატების კონგრესის დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც ჰეროლდ როჯერსი ხელმძღვანელობს, შედიან კონგრესმენები: ჰენრი ქუელარი, ჩარლზ ფლეიშმანი, სტივ უომეკი, ჯონ დანკანი და ჯონ კარტერი.

# დავით მათიკაშვილი: ვენეციის კომისიის მხრიდან ძალიან პოზიტიურ შეფასებას ველოდები

**„ვენეციის კომისია 1995 წლიდან აკვირდება საქართველოში კონსტიტუციის განვითარებას. მათ ძალიან კარგად იციან ყველა იმ პროცესის შესახებ, რაც ვითარდება. ვენეციის კომისიის მხრიდან ძალიან ადეკვატურ და პოზიტიურ შეფასებას ველოდები, რადგანაც ცვლილებების ეს პროექტი რომ შევადაროთ 2010 წლის პროექტს, ეს არის მკვეთრი გაუმჯობესება, არც ერთი უკანგადადგმული ნაბიჯი არ არის ამ პროექტში“,** — განაცხადა დავით მათიკაშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობამ საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გაავრცელა, რომლის თანახმადაც, ისინი სტრასბურგში ოპოზიციასთან შეხვედრას არ აპირებენ, საკონსტიტუციო ცვლილებები კი საშემოდგომო სესიაზე საბოლოოდ დამტკიცდება. 15 კვალიფიციური პარტიის გადაწყვეტილებით, მიუხედავად ჩიხში შესული მოლაპარაკებებისა, პარტიები 6 სექტემბერს ვენეციის კომისიას შეხვდებიან.

# პრეზიდენტი ამერიკელ კონგრესმენებს შეხვდა

**საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ამერიკელ კონგრესმენთა დელეგაცია მიიღო.** შეხვედრისას, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი დავით რაქვიაშვილი, საგარეო ურთიერთობათა მდივანი თენგიზ ფხალაძე, პრეზიდენტის მრჩეველი ადამიანის უფლებათა საკითხებში კახა კოჟორიძე, საპარლამენტო მდივანი ანა დოლიძე ესწრებოდნენ, საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიული პოლიტიკა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარება და რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო განიხილეს.

**„საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას განხილული იყო აშშ-საქართველოს ურთიერთობების შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების საკითხები, როგორც სამხედრო თანამშრომლობის, ასევე ეკონომიკური თანამშრომლობის მიმართულებით“,** — განაცხადა თენგიზ ფხალაძემ.



# „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის, პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის გიორგი კვირიკაშვილის ხელმძღვანელობით, გუშინ „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში პოლიტიკური საბჭოს სხდომა გაიმართა.** შეხვედრაზე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების საორგანიზაციო საკითხები განიხილეს და თბილისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების სია დაამტკიცეს.

# საკონსტიტუციო ცვლილებებს რედაქციული შესწორებებით საშემოდგომო სესიაზე დაამტკიცებენ

**საპარლამენტო უმრავლესობა საკონსტიტუციო ცვლილებებს რედაქციული შესწორებებით საშემოდგომო სესიაზე დაამტკიცებს, ამის შესახებ უმრავლესობის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.** აქვე აღნიშნულია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პირველად, ექნება იმგვარი კონსტიტუცია, რომელიც გამორიცხავს ქვეყანაში ყოველგვარი ავტოკრატიის ჩამოყალიბებას და უზრუნველყოფს ქვეყნის გრძელვადიან, სტაბილურ დემოკრატიულ განვითარებას.

**„პასუხად, ოპოზიციამ წარმოადგინა რამდენიმე ულტიმატუმი, და ისიც საპარლამენტო უმრავლესობასთან დიალოგის განახლების წინაპირობად. ოპოზიციური პარტიების ამგვარმა კონტრპროდუქტიულმა ქმედებებმა შეუძლებელი გახადა საპარლამენტო უმრავლესობაში კონსულტაციების გამართვა და შესაბამისად, დიალოგის განახლება საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალ და ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს შორის. ოპოზიციის მოქმედებამ საბოლოოდ დაადასტურა, რომ კონსენსუსის არარსებობა ოპოზიციის თვითმიზანი იყო“,** — ნათქვამია განცხადებაში.

როგორც უმრავლესობის განცხადებაშია აღნიშნული, იმ პირობებში, როდესაც ოპოზიციამ საბოლოოდ შეიყვანა ჩიხში დიალოგის პროცესი, ყოველგვარი აზრი დაკარგა კონსულტაციების მორიგი რაუნდის გამართვამ ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ.

# უმრავლესობა საკონსტიტუციო რეფორმის საკითხზე სტრასბურგში არ გაემგზავრება

**საპარლამენტო უმრავლესობა საკონსტიტუციო რეფორმის საკითხზე 6 სექტემბერს, სტრასბურგში არ გაემგზავრება.** მმართველი გუნდი ვენეციის კომისიას მოდერატორობისთვის მადლობას უხდის, თუმცა შეხვედრის აზრს ვერ ხედავს.

**„იმ პირობებში, როდესაც ოპოზიციამ საბოლოოდ შეიყვანა ჩიხში დიალოგის პროცესი, ყოველგვარი აზრი დაკარგა კონსულტაციების მორიგი რაუნდის გამართვამ ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ. აღნიშნული შედეგი მით უფრო სამწუხაროა, რომ ვენეციის კომისიამ გამოავლინა განსაკუთრებული გულისხმიერება საქართველოში მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმის მიმართ და ქართულ პოლიტიკურ სპექტრს კონსენსუსის მისაღწევად სტრასბურგში საგანგებო კონსულტაციების მასპინძლობა და მოდერირება შესთავაზა. საპარლამენტო უმრავლესობა მადლობას უხდის ვენეციის კომისიას საკონსტიტუციო რეფორმის პროცესის მხარდაჭერისთვის“,** — ნათქვამია უმრავლესობის განცხადებაში.



## ხანძრიდან — ხანძრამდე

# ტყეში ფირალად გასული პრემიერი...

**აგვისტოში საქართველოს ღვთის რისხვა რომ დაატყდა — მტრისას! ამდენი და ასეთი ძალის ხანძრები მაშინაც არ ყოფილა, თემურ ლენგმა რომ შეგვინთო.**

ბორჯომის ხეობა, ატენის ხეობა, აბასთუმანი, ახმეტა... გუშინწინ კინაღამ თბილისში, ზედ რუსთაველზე გადაიწვა სასტუმრო და კაფე „რუსთაველი“.

ჩვენი მეხანძრეების სიმარჯვე რომ არა...

საერთოდ, მეხანძრეებმა მართლაც ივარგეს ამ ხვატიან აგვისტოში, მართალია, ათობით ჰექტარი უნიკალური ტყე დაგვეწვა, მაგრამ რამდენი გადაგვირჩა! მთავრობა პრემიერ-მინისტრიანად, მთელი კვირა ტყეში იყო გასული სიმონა დოლიძესავით. ამ იძულებითმა ფირალობამ შედეგიც კარგი გამოიღო ყველა ავისმოსურნის გულის მოსაკლავად. გადაბმულმა ხანძრებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ცეცხლი მართლაც ღვთაებრივი სამართლიანობის გამოვლინებაა. მაინცდამაინც ცეცხლთაყვანისმცემლობის მიმდევრობა როდია საჭირო ამაში დასარწმუნებლად.

გადაავლეთ თვალი იმ საგანგაშო დღეების ქრონიკას სხვადასხვა სატელევიზიო ცნობებსა და მოლოდინებს და მიხვდებით, **ბევრმა ჩვენმა აკვამლებულმა პოლიტიკოსმა თვითონ თუ არ მოუკიდა ცეცხლი, ყოველ შემთხვევაში, მაჯააჩქარებული აყურადებ-და მოვლენათა მსვლელობას.**

დიახაც, ღვთის საჩუქრად მიიღებდა შეურიგებელი მოწინააღმდეგე, რაც მეტი გადაიწვებოდა, რათა ხელისუფლება უნიათობაში, უმოქმედობაში და გულგრილობაში დაედანაშაულებინა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. როგორც კი ტყემ ტკაცუნი დაიწყო და კატასტროფის მასშტაბი გამოიკვეთა, მთავრობა ერთიანად აიყარა, ალმოდებულ ტყეში შერგო თავი და ყველას ენა მუცელში ჩაუგდო.

აქვე სათქმელად: ხანძრების ამბავმა მიკარნახა წინადადება, რომელიც ვფიქრობ, ძალზე წაადგება საკონსტიტუციო შესწორებების თაობაზე დაუსრულებელ დავას. **კონსტიტუციურად დაკანონდეს: მსხვილი ხანძრის დროს (აალებიდან უკანასკნელი ვედროს მისხმამდე), ტყიდან ფეხი არ მოვაცვლევინოთ შინაგან საქმეთა მინისტრს — კარგად დავცადეთ.**

თუმცა ჩვენს ყველაფერში მწვდომ ოპოზიციას რას გამოაპარებ: მთელი მეზობლობა რომ გვერდში დაგვიდგა — თურქეთ-აზერბაიჯან-სომხეთ-ბელარუსიანად და ბევრმა კიდევ დახმარების მხურვალე სურვილი გამოთქვა — გერმანიისა და სხვათა მსგავსად, უცებ ავად გახმიანდა შემზარავი ცნობა: ხელისუფლებამ თურმე რუსეთსაც მიმართა დახმარების თხოვნითო. და აიჯაგრა, აიფოფრა ოპოზიცია, როგორ თუ ოკუპანტს დაუკაკუნეთ კარზეო, ჯანდაბას მთელი ბორჯომი თავის ტყიანადო!

**არადა, ჩვენი უძვირფასესი ტყეები ღირს იმად, რომ თუ გიჭირს, ოკუპანტს კი არა, ნებისმიერ ძაღლს და მამაძაღლს სთხოვო დახმარება!**

ეს თემა თითქმის უკვე მოსცილდა ეკრანს, მაგრამ ახლა სხვა გამოჩნდა, რომელმაც შეიძლება ბზარი შეიტანოს ოპოზიციის მჩქეფარე მონოლითურ ცხოვრებაში. თუმცა „ბზარი შეიტანოს“ კი არა, უკვე შეიტანა, უკვე გაბზარა! წავიდნენ თუ არა ინტერპარტიულ ჯგუფში შემავალი პარტიები სტრასბურგში, ვენეციის კომისიის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე, თუ „ქართული ოცნება“ არ წავა იქ? არის ახლა სჯა-კამათი — ღირს თუ არ ღირს! თანაც ამ „სჯას“ ნაბზარებიდან უკვე „შე ჩათლახოც“ ახლავს.

ამასობაში ახალი სკანდალი აბრიალდა: მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის ხელმძღვანელი ქეთი დოლიძე თანამდებობიდან გაათავისუფლეს! უფრო სწორად, ხელმძღვანელობის ყოველგვარი ვადა გაუვიდა და სხვა დანიშნეს... მსახიობთა ნაწილი მწვავედ დაუპირისპირდა რეჟისორს (ნინელი ჭანკვეტაძის მაქსიმა: **„შეიძლება იყო კარგი რეჟისორი, მაგრამ არ იყო კარგი ხელმძღვანელი!“)**.

ქალბატონი ქეთი არ არის ის პიროვნება, რომ ცრემლი თვალში ჩაიბრუნოს და ცხვირსახოცში ჩაიქვითინოს, ოღონდ თეატრს არაფერი ევნოს და ჩემი დაჩაგრული თავი ჯანდაბასო. ასე რომ, წინ დიდი მიხტომა-მოხტომები გველის. მით უფრო, რომ ქალბატოონ ქეთის ხმაში უკვე ისტერიკა ხმიანობს: **„ვულოცავ ჩემს მოხსნას 10 მოღალატესა და მკვლელს! მკვლელები ხართ!“**

მაგრამ პირადად მე, უმნიშვნელოვანესად მიმაჩნია გუშინ ინტერნეტში მოძიებული ცნობა, რომ **საქართველოში შემცირდა აბორტების რაოდენობა.** რას გავახარებ დემოგრაფ ანზორ თოთაძეს?!

**ალეკო ასლანიშვილი**



# საქართველოში ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების ახალი ნაკადი ჩამოვიდა

**Agile Spirit 2017-ში მონაწილე ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები საქართველოში ჩამოვიდნენ,** — ამის შესახებ ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

,,ალექსეევკის სამხედრო აეროდრომზე აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსისა და არმიის წარმომადგენლების მორიგი ნაკადი ჩამოვიდა. უცხოელ სამხედროებს მრავალეროვნული სწავლება Agile Spirit 2017-ის ხელმძღვანელი, საქართველოს სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდალი, პოლკოვნიკი გიორგი მათიაშვილი დახვდა. აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსისა და არმიის წარმომადგენლები აეროპორტიდან შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ სწავლების რაიონისაკენ გაემგზავრნენ.

მრავალეროვნული სწავლება Agile Spirit 2017 წინა წლებთან შედარებით გაცილებით უფრო ფართომასშტაბიანია. საველე და საშტაბო სწავლებაში ნატოს წევრი და პარტნიორი 8 ქვეყნის 1500-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე მიიღებს მონაწილეობას.

მრავალეროვნული სწავლება Agile Spirit 2017 საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და აშშ-ის საზღვაო ქვეითების ორგანიზებით გაიმართება. სამხედრო სწავლება საველე და საშტაბო ფაზებს მოიცავს და მისი სცენარი სტაბილურობის, შეტევა-თავდაცვით ოპერაციებს ემყარება.

სამხედრო წვრთნებში ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების, საქართველოს, აშშ-ის, ბულგარეთის, ლატვიის, რუმინეთის, უკრაინის, აზერბაიჯანისა და სომხეთის სამხედრო მოსამსახურეები მიიღებენ მონაწილეობას.

სწავლების საველე და საშტაბო ფაზები, ოფიციალურად, 11 სექტემბერს ახალციხეში, ორფოლოს პოლიგონზე საჩვენებელი წვრთნებით დასრულდება".

# მოლდოვამ ე.წ. სამხრეთ ოსეთის და რუსეთის დელეგაციები ქვეყნიდან გააძევა

**ამის შესახებ ინფორმაციას ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.**

საგარეო უწყების ცნობით, რუსეთისა და თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის დელეგაციის წევრები მოლდოვიდან დნესტრისპირეთის არაღიარებულ რესპუბლიკაში გამგზავრებას აპირებდნენ, თუმცა მოლდოვიდან ისინი დეპორტაციით გამოაძევეს.

მათივე ინფორმაციით, გამოძევებულთა შორის დანარჩენ დელეგეციის წევრებთან ერთად არიან რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელი, რუსეთის სამხედრო ექსპერტთა კოლეგიის პრეზიდენტი, გენერალ-მაიორი — ალექსანდრ ვლადიმიროვი და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დელეგაციის ხელმძღვანელი, სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი იგორ კოზაევი.

# სააკაშვილი: უკრაინის ხელისუფლება ჩემ წინააღმდეგ სამ სცენარს ამზადებს

საქართველოს ექსპრეზიდენტი და ოდესის ყოფილი გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ კიევი მის წინააღმდეგ სამ სცენარს ამზადებს.

**„მათ შეუძლიათ, არ შემიშვან საზღვარზე, ჩამომართვან პასპორტი და პოლონეთში გამაძევონ. შესაძლოა, საზღვარზე შემიშვან დაკავების მიზნით და ექსტრადიციის პროცესი დაიწყონ. მესამე ვარიანტი კი საზღვარზე არეულობის მოწყობაა,"** — აცხადებს სააკაშვილი. გავრცელებული ინფორმაციით, ოდესის ყოფილი გუბერნატორი უკრაინაში დაბრუნებას 10 სექტემბერს გეგმავს.

# პრეზიდენტმა საქართველოში მცხოვრებ მუსლიმებს ყურბან-ბაირამი მიულოცა

**„ძვირფასო თანამოქალაქენო, გულითადად გილოცავთ ყურბან-ბაირამს — თანადგომის, მშვიდობისა და სიკეთის გამარჯვების დღესასწაულს.**

**საქართველოს მუსლიმი თემი ჩვენი საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. ჩვენი წინაპრები ერთად, მხარდამხარ აშენებდნენ ჩვენს ქვეყანას, ქმნიდნენ მის ისტორიას და ეს მომავალიც ასე იქნება.**

**ვუერთდები ზეიმს და თქვენს ოჯახებთან ერთად გისურვებთ წარმატებასა და კეთილდღეობას",** — აღნიშნულია პრეზიდენტის განცხადებაში.

# გოკა გაბაშვილი — სიის პირველი ნომერი

**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე „ევროპული საქართველოს" თბილისის პროპორციული სიის პირველი ნომერი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გოკა გაბაშვილი იქნება. ამ საკითხთან დაკავშირებით პარტიის ოფისში კომენტარს არ აკეთებენ და აცხადებენ, რომ ყველაფერი კვირას, მაჟორიტარების სიის წარდგენაზე გახდება ცნობილი.**

„პირველი რადიოს" ინფორმაციით, სიის დაკომპლექტებას „ევროპულ საქართველოში" განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭება და საკრებულოში თბილისის სხვადასხვა რაიონში წარდგენილი კანდიდატებიდან ისინი შევლენ, ვინც მაჟორიტარულ ოლქებში ყველაზე მეტ ხმებს მოაგროვებენ, ანუ სიაში აიწევს ის მაჟორიტარი, ვინც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

# ნანუაშვილი პროცედურულ დარღვევებზე საუბრობს

ე.წ. ციანიდის საქმის პროცესიდან გამოსულმა სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა დეკანოზ გიორგი მამალაძის დაკავების პროცესში არსებულ პროცედურულ დარღვევებზე ისაუბრა.

**„უამრავ პროცედურულ დარღვევას ჰქონდა ადგილი (დეკანოზ გიორგი მამალაძის) დაკავების მომენტიდან. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გაითვალისწინებს იმ ხარვეზებს, რომლებიც გამოძიებაში არსებობს. დარღვევებთან დაკავშირებით ჩვენ ვაპირებთ დასკვნა მოვამზადოთ, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოსამართლემ გაითვალისწინოს ეს ხარვეზები და მოახდინოს მტკიცებულებების შეფასება. ვიმეორებ, პროცედურული დარღვევები ძალიან ბევრია, დიდი იმედი მაქვს, რომ სასამართლო ამაზე ყურადღებას გაამახვილებს",** — განაცხადა ნანუაშვილმა.

# ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარემ თანამდებობა დატოვა

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ზაზა ჩაჩანიძემ თანამდებობა დატოვა. როგორც imedinews წერს, ჩაჩანიძე „პატრიოტთა ალიანსში" გადავიდა.**

ბორჯომის საკრებულოში აცხადებენ, რომ საკრებულოს თავმჯდომარე ახლა შვებულებაში იმყოფება. გავრცელებული ინფორმაციით, ზაზა ჩაჩანიძემ 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებში, შესაძლოა, ბორჯომის მერის პოსტზე „პატრიოტთა ალიანსიდან" იყაროს კენჭი.

# ინდოელ ბიზნესმენთა მილიონნახევრიანი ინვესტიცია ქუთაისში

**უძრავი ქონების სექტორის საინვესტიციო პოტენციალის გათვალისწინებით საქართველო საკმაოდ მიმზიდველი ხდება უცხოელი ინვესტორებისთვის, რაც პოზიტიურ შედეგებშიც აისახება. სააგენტოს „აწარმოე საქართველოში — ინვესტიციის" მიმართულების მხარდაჭერით, ინდოელი ინვესტორები საქართველოში, ქალაქ ქუთაისში 1.5 მლნ ლარიან საინვესტიციო პროექტს განახორციელებენ, რომელიც შერეული ტიპის, კომერციულ/საცხოვრებელ ობიექტის აშენებას გულისხმობს.**

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში — ინვესტიციის" წარმომადგენლების მხარდაჭერით, კომპანია „City Construction" დაახლოებით 6 თვის განმავლობაში ახორციელებდა საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის კვლევას. პროექტისთვის მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს აღმოჩენის შემდგომ, ინვესტორთან სააგენტოს წარმომადგენლები აქტიურად თანამშრომლობდნენ პროექტის მდებარეობის შერჩევის, სხვადასხვა ნებართვების მიღების და ინვესტირების პროცესთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, რის შემდეგაც კომპანიამ „City Construction" ქ. ქუთაისში 5-სართულიანი ობიექტის მშენებლობა დაიწყო, სადაც როგორც საოფისე, ასევე პრემიუმ ხარისხის საცხოვრებელი ფართები იქნება წარმოდგენილი.

პროექტი, რომლის მშენებლობაც 2018 წლის სექტემბერში დასრულდება, 20-მდე ადამიანს დაასაქმებს. კომპანიის დირექტორის საურაბჰ ფაჰუჯას განცხადებით, ამჟამად კომპანია თბილისის უძრავი ქონების ბაზრის საინვესტიციო შესაძლებლობებს იკვლევს და უახლოეს მომავალში მნიშვნელოვანი ინვესტიციის განხორციელებას საქართველოს დედაქალაქშიც გეგმავს.




## მეზობელო კარისაო...

# ვიმღეროთ და... ცეცხლიც ჩაქრება!

ასეული ჰექტარი ისე გადაიბუგა, ლამის ასი წელი დასჭირდეს მის აღდგენას. ვინ დაწვა ან რატომ დაწვა, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ გამოვიყენეთ თუ არა ყველა შანსი ცეცხლის ჩასაქრობად? დროში გაიწელა სტიქია. იქნებ შეიძლებოდა ტყის მასივის გადარჩენა ვთქვათ, სულაც რუსული რესურსების გამოყენებით? იქნებ გააჩნდა რუსეთს ისეთი ტექნიკა, იმავე დღეს ან ორიოდე დღეში ჩაგვექრო გამძვინვარებული სტიქია? ხომ გაგიგონიათ: კარის მეზობელი შორეულ ნათესავს სჯობიაო. რატომ სჯობია კარის მეზობელი შორეულ ნათესავს, იმ კარის მეზობელთან უბრად თუ ხარ? მაინც სჯობიაო, ამბობს ხალხი. იმიტომ, რომ კარის მეზობელს „ხალხურ ენაზე" „მეცეცხლური" ჰქვია. მეცეცხლური კი ის არის, ვინც ცეცხლს მოგაწვდის მაშინ, თუკი საკუთარი ჩაგიქრება და ცეცხლის ჩაქრობაში დაგეხმარება მაშინ, თუკი ცეცხლი გიკიდია. ექსპერტმა სანდრო თვალჭრელიძემ აღნიშნა: „რუსეთთან ურთიერთობისას არც კარგი და არც ცუდი ნაბიჯებით არაფერი გამოდის". თუმცა, ნათქვამია: „ცდა ბედის მონახევრეაო".

ხუთმა თუ ექვსმა ქვეყანამ გამოიდო თავი, დაგვეხმარა, ცეცხლი ჩაგვაქრობინა. მადლობა გადავუხადეთ და გავისტუმრეთ მეგობრები. ამასობაში ცეცხლის ახალი კერები გაჩნდა. როდესაც ბორჯომის ხეობის შემდეგ წაღვერის ხეობაშიც იფეთქა ცეცხლმა, დავიჯერეთ რომ ქარმა გადაიტანა ცეცხლის ნაპერწკალი, მაგრამ ზედიზედ, ერთმანეთის მიყოლებით რომ ჩნდება ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ ტერიტორიებზე ცეცხლი? აბასთუმნის ტყეში როგორ გაჩნდა ხანძარი? თავიდან ნახევარ ჰექტარს ეკიდა, ახლა თხუთმეტ ჰექტარამდეაო დამწვარი. ასე არ იყო ბორჯომშიც? თავდაპირველად პატარა კერა გაღვივდა და ლამის მთელი ბორჯომი გადაწვა. ასე სტიქიურად.

ასე ერთმანეთის მიყოლებით ახალი კერების გაჩენა ახალ საფიქრალს აღძრავს, ეჭვებს აჩენს. ჩემი და, ალბათ, არამარტო ჩემი ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, შინაგან საქმეთა მინისტრი, ქვეყნის პირველი პოლიციელი რომ დასდევს ცეცხლის კერებს. გაჩნდება ცეცხლი და იქ გაჩნდება ბატონი გიორგიც. არადა, მისი უპირველესი მოვალეობა წესრიგის დამყარება, ხისტად რომ ვთქვათ, ქურდების, ყაჩაღებისა და ამგვარი კატეგორიის ხალხის განეიტრალება არ უნდა ყოფილიყო? ვის იმედად არის დატოვებული ეს სფერო? ხომ ვამბობთ ხოლმე, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთესო. ყველა საქმე მაინცდამაინც ამ კაცის მოსაგვარებელი რატომ არის? შექსპირის ერთ-ერთი პერსონაჟის სიტყვები გამახსენდა, რაღაც დალპა დანიის სამეფოშიო!... მგონი, რაღაც ამგვარი ხდება ჩვენშიც.

„საქინფორმის" ერთ მეტად საგულისხმო ინფორმაციას მოვკარი თვალი: „მონტენეგროში პოლონელი ტურისტი დააკავეს, რომელმაც ტყეში ხანძარი გააჩინა". ბატონი გიორგი მღებრიშვილი აცხადებს, რომ დივერსიებსაც არ გამოვრიცხავთო. მოკლედ, საფიქრალი ბევრია. თუნდაც ისიც არის საფიქრალი, რატომ ვიხდით მილიონებს ჩვენი ყურთასმენის დასატკბობად, იმ უცხოელი მომღერლების ყულაბაში, რომლებმაც შესაძლოა, ვერც გაიხსენონ ის ქალაქი (თბილისი), სადაც მუსიკით გაახარეს ათას საგონებელში ჩავარდნილი საზოგადოება. ის თანხა, რაც მათ გავატანეთ, ორს თუ არა, ალბათ, ერთ ვერტმფრენს მაინც იყიდდა.



ხომ გახსოვთ, დიდი სულხან-საბას ირონიული რეპლიკა: „ვიმღეროთ და სოფელიც აშენდებაო". სიმღერას ვერავინ დაგვასწრებს, მაგრამ სოფლის აშენებამდე ბევრი გვიკლია.

**მზია გელენავა**



# როცა ცეცხლი გულში გვეკიდება!

**1921 წელს ბორჯომის ხეობა სახელმწიფო კურორტად გამოცხადდა. დღეს ყველამ ვიცით, რასაც წარმოადგენს ბორჯომის ხეობა საქართველოსთვის და ქართველი ხალხისთვის, გასაკვირი როდია ის თავგანწირვა და შემართება, რომელიც გამოიჩინა მთავრობამ, გამოიჩინეს თავად ხეობის სოფლების მცხოვრებლებმა იმ ავად აბრიალებული კოცონის ჩასაქრობად, რომელიც მთელ ხეობას დანაცრებით ემუქრებოდა. მადლიერი ვართ ჩვენი მეზობელი ქვეყნების დახმარების, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ის ადამიანები, რომლებიც შიშველი ხელებით ებრძოდნენ გამძვინვარებულ სტიქიას.**



წლევანდელმა ზაფხულმა მეტისმეტად „გულმოდგინედ" იზაფხულა. ჯერ კიდევ ივნისში პაპანაქება სიცხისაგან შეწუხებული ხალხი გაიძახოდა, აგვისტოს ამინდები ჩამოგვდგომია და ეს არისო... უცებ გადავედით სიცივიდან სიცხეზე, გაზაფხულმა თავისი სინაზე და სურნელოვანი სინარნარე ვერ გვაგრძნობინა. მინდორ-ველმა გადამწვანება ვერც კი მოასწრო, მზემ რომ მხურვალე სხივები მოგვაყარა და ორმოცგრადუსიან ბუღში გახვია მთა-ბარი. ვერც სხა კონტინენტებზე დაიტრაბახებდა ბუნება თავის ოთხდროიანი ციკლის ზომიერებით. მიწისძვრებით, მეწყერებით, წყალდიდობებით, მსხვერპლით, კატაკლიზმებით დაგვამახსოვრა ბუნებამ ამ წლის გაზაფხულ-ზაფხული, წინ კიდევ ვინ იცის რა ელის კაცობრიობას. რა გველის ჩვენ, დაუდევარ ქართველებს, ნიჭიერებად და ჭკვიანებად, რომ ვნათლავთ ჩვენს მოდგმას და ამავე დროს ისეთ შეცდომებს ვუშვებთ, როგორც ყოფითს ელემენტალურს (ამას ვინ დაეძებს!), ასევე მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ საკითხებში, რომ არ ვიცი, ამას ბუნება როგორ გვაპატიებს. ვანგრევთ ძველს და ვაშენებთ უარესს. მეწყრულ ნიადაგებზე წამოვჭიმეთ ფეშენებელური შენობები, არ ვფიქრობთ ხვალინდელ დღეზე, ხელოვნურად ვქმნით სიცოცხლისათვის საშიშ პირობებს, ძველი და ბინძური, საშინელგამონაბოლქვიანი მანქანების მოძრაობით ნახშირორჟანგით ვავსებთ ჰაერს. ტყეში თუ ღრეში, მთასა თუ ბარში, სადაც კი გავიარეთ (კი ბატონო, ხშირი წარმატებებითაც, მაგრამ...), ყველგან დავტოვეთ ჩვენეული, ცუდკაცური კვალი — დანაგვიანებული და დასახიჩრებული გარემო. რა ხდება წელს საქართველოში, რატომ მომრავლდა ხანძრის კერები, რატომ იწვის ჰექტრებზე გადაჭიმული, საოცრად მდიდარი და უნიკალური ტყის მასივები, რა, დივერსანტები შემოგვისიეს? კი ბატონო, არც ეს არის გასაკვირი. ცეცხლით და მახვილით არაერთხელ შემოსულა ჩვენთან მტერი, რამდენჯერ გადაგვბუგეს, რამდენჯერ გაგვაცამტვერეს, რამდენი არხილოს (თვალმა რომ არ იხილოს!) კალოები აგვიგიზგიზეს! სასწაულია ყოველივე, რას გავუძელით და როგორ! მაგრამ მტერი მტერია, ჩვენ ვინა ვართ და რა ვართ ჩვენი მიწისთვის, ჩვენი მამულისთვის, ვართ კი ისეთივე ქართველები, თავგანწირულ ომებში გზად დაღლილნი რომ არავის ვუნახივართ, ისეთნი?

მართალი გითხრათ, ამ დღეებში ვაკის პარკში შესვლა მაფრთხობს, მაშინებს. რაიმე ისეთ კვალს და ისეთ სურათს არ წავაწყდე, მხოლოდ ტყეში კი არადა, გულში რომ ცეცხლს წაგიკიდებს! და, რომ ვაწყდები, რა ვქნა! დაბინძურებული ხელსახოცები, ქაღალდები, დამტვრეული ბოთლები, ჭიქები... ვინ იცის, ეს მეინახეები ერთგულების, თავდადების, სამშობლოს სადიდებელ, ჩვენი ისტორიის სადღეგრძელოებსაც კი სვამდნენ, ცრემლებს რომ გადენინებს ისეთს, არადა, ესმით კი რა არის სამშობლო? იციან კი რას ნიშნავს ეს პარკი ქალაქისთვის, ადგილობრივებისთვის, სტუმრებისთვის?.. იციან კი თითოეულ აქ დარგულ ხეს როგორ უვლიდნენ და დღესაც უვლიან, როგორ ახარებდნენ და დღესაც ახარებენ მებაღემუშაკები (მადლობა ღმერთს!)? ამას წინათ, კოინდრის ბალახი დათესეს ალაგ-ალაგ სკვერებში (ადრეც დაუთესიათ). მერე, ზონარი შემოავლეს , წარწერები გააკეთეს, არ შეხვიდეთ, ბალახია დათესილიო... ამკრძალავი ზონარი რომ არ შემოევლოთ, ისევ შეაჯირითებდნენ იქ თავიანთ ძაღლებს მეპატრონეები, რომლებმაც პარკი, უკვე კარგა ხანია, ძაღლების საწვრთნელსათამაშო არენად აქციეს, კი ბატონო, ძაღლები გვიყვარს, მაგრამ თავისი ადგილი აქვს ყველაფერს! ერთხელ, ერთ სკვერში შესულს პატრონიანი ძაღლი გამომეკიდა. გადავრჩი, მაგრამ დღემდე არ ამომსვლია გულიდან მისი პატრონის სიტყვები: იმიტომ შემოგიყეფათ, რომ თავის საკუთარ ადგილად თვლის და უცხო რომ დაგინახათ... როგორია, ა, „უცხო", თავად განსაჯეთ. ძაღლები კი არა, თავად ჩვენა ვართ უცნაურები, გაუცხოებულები, ერთმანეთს არ ვინდობთ, ვართმევთ, ვაღიზიანებთ, ეჭვის თვალით ვუყურებთ მაშინ, როდესაც მზადა ვართ საკუთარი კარი ისე გავუღოთ ვინმე უცხოელს, არც კი ვიკითხოთ, ვინ არის და სადაურია, რატომ, რა მიზნით შემოდის ჩვენთან და ასე შემდეგ,

ცოტა ზემოთ ისტორია ვახსენე, ამ გახსენებამ გული მომიწურა. ყველა მწერალი, მომწერლო თუ მეისტორიე თავისებურ, მისი გულის გასახარელ, მისთვის საამო და სარწმუნო „ისტორიას" არა მარტო თხზავს, არამედ ამა თუ იმ მედიის (ზოგჯერ საკმაოდ ავტორიტეტული მედიის) საშუალებით საზოგადოებასაც კი უზიარებს და არწმუნებს შავის თეთრობაში და პირიქით. ახლა ასეთი ჩანაწერები, თავიანთებურად დანახული, ჯერ კიდევ გაურკვეველი მოვლენები (მათთვის თითქოს გარკვეული და უტყუარი!) მომავალმა ისტორიკოსებმა რომ გამოიყენონ (თუ უკვე არ გამოუყენებიათ!), როგორი ისტორია გვექნება? ისტორია, სადაც მხდალები გმირებად წარმოგვიჩნდებიან, ყვარყვარეები და კვაჭი კვაჭანტირაძეები კი გენიოს პოლიტიკოსებად... დავწეროთ, მაგრამ მხოლოდ უტყუარი საბუთებით. ვილაპარაკოთ, მაგრამ, მხოლოდ რეალური ფაქტებით! მკრეხელობაა ისტორიასთან თამაში, არ გვაქვს უფლება, შევთხზათ არარსებული და არ დავუტოვოთ მომავალ თაობას ჩვენი დროის ისტორიის შეულამაზებელი ფურცლები. მაწუხებს ეს ამბავი და, ალბათ, მარტო მე არა. რა უფლება გვაქვს გაურკვეველ და დაუდგენელ საკითხებზე როგორც გვინდა ისე ვიმსჯელოთ და საკუთარი, ასეთი თუ ისეთი „მსოფლმხედველობით" შეთხზული, ტენდენციური აზრებით საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ცრემლები ვადინოთ... ასეთ საკითხებში, მადლობა ღმერთს, რომ გვყავანან სამაგალითო ჟამთააღმწერლები (დიახ, მე მათ ასე ვუწოდებდი): მერაბ თაბუკაშვილი, გურამ შარაძე და სხვები, გვყავანან დიდი ისტორიკოსები — თავად ივანე ჯავახიშვილი და უამრავი სხვა, რომლებიც მხოლოდ ფაქტების მოძიებით და ნაღდი დოკუმენტებით ავსებდნენ საქართველოს პოლიტიკის, ლიტერატურისა თუ ზოგადი ისტორიის თემებსა და საკითხებს და ყველაფერი ეს ხდებოდა საოცარი შრომითა და რუდუნებით, აი ვინ იყვნენ მისაბაძი მამულიშვილები... საით წავედი, საით მიმავალი. ამ მეტად ფაქიზ თემას ასე ადვილად თავს რას გავართმევ... გმირების გამოსაგონებლად სრულებითაც არა გვაქვს საქმე. მაგრამ ეს თემა სხვა დროისთვის გადავდოთ.

ახლა მე ის ცეცხლი მწვავს, ამ დღეებში ბორჯომის უნიკალურ ტყეებს რომ უმოწყალოდ ბუგავდა. და კაცმა არ იცის რატომ, როგორ და რა მიზეზით... ნუთუ მართლა ამინდმა, სიცხემ გამოიწვია ყოველივე ეს? საეჭვოაო, ამბობს ბევრი და ასე ვფიქრობ მეც. აუცილებელია, მივდიოთ კვალს და გასარკვევი გავარკვიოთ მანამ, სანამ ხანძრის ახალი კერა არ აბრიალებულა. და სანამ რაიმე ახალ, ბრიყვულ ისტორიებს არ შეთხზავენ მოჭორიკნემეზღაპრეები, ყველგან და ყველაფერში ვეცადოთ დავადგინოთ სიმართლე. ხალხო, გავუფრთხილდეთ ჩვენს დიდ სახლ-კარს, ჩვენს დიდ ოჯახს — სამშობლოს, ანუ ჩვენს სამყოფელს, ჩვენს ბინებს, ეზოებს, ქუჩებს, სკვერებს, პარკებს, ვიამაყოთ ბუნების მიერ ნაბოძები საგანძურით, ტყით, მდინარეებით, ჩვენი მთა-ველის ფერადოვნებით. მოვეფეროთ და მოვუაროთ თითოეულ ხეს, ნარგავს, სიმწვანეს. გავუფრთხილდეთ წყაროებს და მდინარეებს, თითოეულ მათგანში ხომ ჩვენი არსებობის ძარღვი ფეთქავს, ჩვენი სასიცოცხლო ძალა სუფევს. ვიცით კი ეს? და თუ ვიცით, რატომ ვსპობთ, ვკლავთ და ვაჩანაგებთ გარემოს. შევდივართ ტყეში საქეიფოდ, ვანთებთ კოცონს, ვწვავთ მწვადებს, ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ კუჭს ვასიამოვნოთ (განა ეს ქეიფია?), რადგანაც ხშირად, ბევრ ჩვენგანს არაფერი ესმის, რა არის თვალით დასანახი და გონებით გააზრებული სიამოვნება, ვერ ხედავს და ვერ ამჩნევს გარემოში ბუნების მიერ დაქარგულ ღვთაებრივ პეიზაჟებს, თორემ როგორ არ გაუფრთხილდებოდა, ნაგავსა და ჭუჭყს როგორ არ მოარიდებდა მას, საჭმლის ნარჩენებს და უსუფთაობას როგორ შეჰკადრებდა, „ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს, ოდეს შვენება შენი იხილოსო", წერდა არაგვის მიდამოებით მოხიბლული ჩვენი დიდი რომანტიკოსი. ნეტავ რომელ ქართველზე წერდა? ნუთუ დღევანდელი ქართველები ასე განსხვავდებიან ბარათაშვილის დროინდელთაგან, რომ იმის ნაცვლად, ამწვანებულ მთებს აღფრთოვანებული მზერა შეავლონ და ბუნების გასაოცარი სილამაზით მოხიბლულებმა გულიდან ამოხეთქილი სიტყვებით უგალობონ, პირიქით, მას სიბინძურით ავსებენ? ვაი, რომ ასეა და ვინ იცის, შეიძლება სწორედ ასეთი უგუნური დამოკიდებულების ნაყოფია ჩვენი საგანძურის — ბორჯომის ტყეების აწ გადამწვარი და გადაფერფლილი უზარმაზარი ტერიტორია.

ახლა რა ვქნათ, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ? სხვა რა გზა დაგვრჩენია, თუ გვინდა სამშობლო შევინარჩუნოთ, თუ გვინდა ბორჯომის ულამაზესი ხეობა კვლავ მარადმწვანე ტყეებით ბიბინებდეს, უნდა დავიწყოთ. ასეთი ყოფილა საქართველოს ბედი! ბორჯომის ხეობის ისტორია სწორედ რომ მაგალითია დანგრევებისა და ხელახალი მშენებლობებისა.ამ ხეობას ადრე თორის მხარე ეწოდებოდა, მე-15 საუკუნიდან კი სადგერის ხეობით არის ცნობილი და მოიცავდა ტერიტორიას ტაშისკარიდან აწყურამდე და სადგერიდან ტიმოთეს უბან-წაღვერის ჩათვლით. სწორედ მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოს ეს ხეობა სამცხე-საათაბაგოსთან ერთად ოსმალეთმა მიიტაცა და მისი ძირითადი მოსახლეობა მტერთან ბრძოლაში დაიღუპა, დანარჩენი კი ქართლსა და იმერეთს შეეხიზნა. გაჩანაგდა მატერიალურ-კულტურული ძეგლებიც, მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსთვის, მას შემდეგ, რაც თურქი დამპყრობლები განიდევნა, დაიწყო ბორჯომის ხეობის ხელახალი დასახლება, ამასობაში (1871) ბორჯომის ხეობა დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის საუფლისწულო მამული გახდა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... ერთი სიტყვით, ძველი საუკუნეებიდან მოყოლებული ძალიან მძიმე გზით იცვლებოდა ამ ხეობის პოლიტიკური და გეოგრაფიული სურათი

დაბოლოს, 1921 წელს ბორჯომის ხეობა სახელმწიფო კურორტად გამოცხადდა. დღეს ყველამ ვიცით, რასაც წარმოადგენს ბორჯომის ხეობა საქართველოსთვის და ქართველი ხალხისთვის, გასაკვირი როდია ის თავგანწირვა და შემართება, რომელიც გამოიჩინა მთავრობამ, გამოიჩინეს თავად ხეობის სოფლების მცხოვრებლებმა იმ ავად აბრიალებული კოცონის ჩასაქრობად, რომელიც მთელ ხეობას დანაცრებით ემუქრებოდა. მადლიერი ვართ ჩვენი მეზობელი ქვეყნების დახმარების, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ის ადამიანები, რომლებიც შიშველი ხელებით ებრძოდნენ გამძვინვარებულ სტიქიას. ხომ უნდა ვიცოდეთ, სად და როდის ვეძებოთ ნამდვილი გმირები.



**გულნარა სტურუა**

## პირველიდან ბოლო ქვამდე

**რაღ გინდოდა, რატომ მიაყოლე ქეთი დოლიძეს ბოლო ქვა? — მითხრა ერთ-ერთმა ყველაზე ახლობელმა პიროვნებამ. მას არ ახსოვდა, რომ სკანდალებით სახელგანთქმულ რეჟისორს პირველი ქვაც სწორედ მე ვესროლე. უფრო ზუსტად, გაზეთ „თბილისში“ დავბეჭდე უკომპრომისობითა და პრინციპულობით გამორჩეული თეატრმცოდნის ნათელა არველაძის სტატია „ქეთი მიუშვეს ნებასა“...**

რატომ დავუპირისპირდით ქეთი დოლიძესა და მის ფესტივალს?

მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ფესტივალი განასახიერებდა იმას, რასაც დიდი რეჟისორი მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდა.

მიხეილ თუმანიშვილისთვის ყველაფერი იყო თეატრი. ის ბალაგანი კი, რასაც ქეთი დოლიძე ფესტივალს უწოდებდა, დიდი რეჟისორის შეურაცხყოფად აღიქმებოდა.

„თბილისის“ იმ ნომრის გამოსვლა მიწისძვრას ჰგავდა.

ქეთი დოლიძემ ორი ფრონტით დაგვიწყო ბრძოლა.

პირველი: იერიში მიიტანა „თბილისის“ მერიაზე — თქვენი გაზეთის(?!) რედაქტორი როგორ ბედავს იმ ფესტივალის გაკრიტიკებას, მერია რომ აფინანსებთ და პრეზიდენტის პატრონატით რომ ტარდება, ამიტომ გაზეთს შეუწყვიტეთ დაფინანსება, ანუ დახურეთო(?!) — კომუნისტების შთამომავლის კომუნისტური აზროვნება და საქციელი!

მეორე: გადაწყვიტა, ქალბატონი ნათელასთვის სასამართლოში ეჩივლა, მაგრამ იმ დროს ცნობილმა აწ განსვენებულმა ადვოკატმა უთხრა, არ გირჩევ, სარჩელის საფუძველი არ არსებობსო.

სწორედ იმ დროს შემომითვალა თბილისის მერმა ბადრი შოშიტაიშვილმა გიგი წერეთლის (თბილისის მთავრობის იმჟამინდელი ვიცეპრემიერის) პირით, როგორმე გამიჩერე ქეთი დოლიძე, შემჭამაო (შხვათა შორის, მისგან „შეჭმული“ არაერთი მერი მინახავს).

აქ აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ ბატონი ბადრი ჩემს სარედაქციო საქმიანობაში არასოდეს ჩარეულა.

ქეთის გაჩერება რას ნიშნავდა?

ცხადია, იმას, რომ ფესტივალი უნდა გვექო(?!).

ჩვენი პოზიციის მართებულობა კი სულ მალე დადასტურდა, როცა ერთ-ერთი საფესტივალო სპექტაკლის გამო საქართველოს საპატრიარქომ საპროტესტო განცხადება გაავრცელა.

ასე რომ, დაე, ბოლო ქვაც იმან ესროლოს, ვინც პირველი ესროლა.

მაგრამ არის კი ეს ბოლო ქვა?

ხომ ვხედავთ, რომ კაბინეტიდან გამოსვლას რას აპირებს!..

## „კარგი“ მოწაფე და ცუდი შვილი (?!)

**ერთ-ერთი „მიზეზი“, რის გამოც ქეთი დოლიძე კაბინეტის დატოვებას არ აპირებს, ჯერ კიდევ განუხორციელებელი პროექტებია.**

ამ „პროექტთა“ შორის კი ერთ-ერთი მამის არქივის მიხედვაა(?!)...



# ალარ მიუშვეს ნებასა?

რა გამოდის: მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრი ქეთი დოლიძეს საკუთარი სახლი ჰგონია.

სხვათა შორის, ერთხელ იმდენად გაკადნიერდა, რომ აქუს ეთერში განაცხადა, ეს თეატრი ჩემი შექმნილიაო(?!).

ცხადია, ვერ მოვითმინე და მწარედ გამოვეხმაურე. ესეც დავწერე, თუ ასეა, გადავარქვათ თეატრს სახელი და ქეთი დოლიძის სახელობისა გავხადოთ-მეთქი(?!).

მკრეხელური აზრი ამ დღეებშიც რომ არ გაემეორებინა, იქნებ ეს სტატია არც დაწერილიყო.

არის რაღაც, რასაც ვერ გაუჩუმდები.

მე კარგი მოწაფე, მაგრამ ცუდი შვილი ვარო, — ბრძანა.

როგორი მოწაფეა, ქვეყანა ხედავს: დიდ პედაგოგს თეატრის დამაარსებლის სტატუსს ეცილება(?!).

მისი თხზულებები გამოვეციო — ისეთი კურიოზებითაა სავსე, რომ რეჟისორის ოჯახმა მისი გავრცელების აკრძალვა მოითხოვა(?!).

ცუდი შვილი რატომ არის?

იმიტომ, რომ მამის არქივზე აქამდე ვერ იზრუნა (მასწავლებელს „გადაჰყვა“).

მის ადგილას კი გონიერი ადამიანი მამის არქივის გამომზეურებას არ გარისკავდა.

აკაკი ბაქრაძის ერთ-ერთ სტატიას „ულირსებო კაცი“ ჰქვია.

კრიტიკოსი საუბრობს იმაზე, თუ როგორ აქცევდა საბჭოთა ხელისუფლება ნიჭიერ მაგრამ უპრინციპო ადამიანს სრულიად უნაყოფო შემოქმედად.

დასახელებული სამი უნაყოფო პიროვნებიდან ერთ-ერთი სიკო დოლიძე გახლდათ...

## „მკვლელი“ მეგობრები (?!)

**ქეთი დოლიძემ მკვლელები უწოდა იმ მსახიობებს, სამხატვრო ხელმძღვანელობიდან მის გადადგომას რომ დაეთანხმნენ.**

მიხეილ თუმანიშვილს თავს როგორ შევადრი, მაგრამ ჩემი მეგობრები ზუსტად ისევე მომექცნენ, როგორც მას — თავისი მოწაფეებიო.

აკი თავს როგორ შევადრიო?!

თავი შეადარა კი არა, თეატრი ჩემი შექმნილიაო(?!).

მკვლელ მეგობრებში ვის გულისხმობს?

უპირველესად, ნინელი ჭანკვეტაძეს.

შეიძლება, ნინელი მისი მეგობარი იყოს?!

რა ვქნა, ესეც მე დავბეჭდე. სწორედ ნინელიმ დაწერა წლების წინათ, თუმანიშვილის თეატრში ალუბლის ბაღი უკვე აკაფულია და ის დუნიაშას ხელში აღმოჩნდაო.

ვის გულისხმობდა დუნიაშაში, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

## უსასრულო წელიწად-ნახევარი

**ქეთი დოლიძე სამხატვრო ხელმძღვანელად ახალი არჩეულია.**

დიდუბის პანთეონში მიხეილ თუმანიშვილის საფლავთან ვდგავართ.

იქ ერთი ხეა.

ნათელა არველაძემ პირდაპირ იმ ხესთან („კედელთან“) მიაყენა ნინელი ჭანკვეტაძე, მსახიობი, რომელიც უზომოდ უყვარს — ეს როგორ დაუშვითო.

დიალოგი ასე დამთავრდა:

— რა ვქნათ, ქალბატონო ნათელა, მინისტრს შევხვდით და გვითხრა, თემურ ჩხეიძესთან მოლაპარაკებული ვარ, წელიწად-ნახევარში დაბრუნდებაო. მანამდე უნდა ავიტანოთ.

— და თქვენ გგონიათ, რომ წელიწად-ნახევრის შემდეგ ქეთი დოლიძე თანამდებობას დათმობს?!



საბედნიეროდ, ის მინისტრი (გრიგოლ ვაშაძე) და, რაც მთავარია, მისი ხელისუფლება დრომ გაიყოლა.

მას შემდეგ ბევრი წელიწად-ნახევარი გავიდა.

ქეთი დოლიძე დღესაც არ თმობს.

ღირსეულად წასვლა ყველას არ ძალუძს...

**იოსებ ჭუმბურიძე**

## ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ სტამბოლის კონვენცია ძალაში შევიდა



**„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია, რომელიც ასევე ცნობილი არის სტამბოლის კონვენციის სახელწოდებით, საქართველოში ორშაბათიდან ამოქმედდა. ამის შესახებ ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.**

უწყების ინფორმაციით, სტამბოლის კონვენციის ამოქმედება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოში ქალთა უფლებების უკეთ დაცვისა და განმტკიცების გზაზე, კონვენციის ამოქმედება ასევე თვისობრივად გააუმჯობესებს ქალთა წინააღმდეგ ძალადობისგან და ოჯახში ძალადობისგან დაცვის სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჩარჩოს.

სტამბოლის კონვენცია წარმოადგენს სამართლებრივად სავალდებულო საერთაშორისო დოკუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიოში ქალების დაცვას ძალადობის ყველა ფორმისაგან, ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის პრევენციას, გამოძიებასა და აღმოფხვრას, ასევე ხელს უწყობს ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრას.

კონვენცია ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ძალადობის მსხვერპლ ქალებს. დღევანდელი მდგომარეობით კონვენცია ძალაშია ევროპის საბჭოს წევრი 24 ქვეყნისთვის.

სტამბოლის კონვენცია ითვალისწინებს მონიტორინგის მექანიზმის ამოქმედებას, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, კერძოდ, კონვენციის საფუძველზე, შეიქმნება ექსპერტთა სპეციალური ჯგუფი, რომელიც მონიტორინგს გაუწევს მხარეთა მიერ კონვენციის დებულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

აღსანიშნავია, რომ სტამბოლის კონვენციის ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნით, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ შემუშავდა და მიღებულ იქნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც შეეხო ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონის, სისხლის სამართლის კოდექსის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, იურიდიული დახმარების შესახებ კანონის, პატიმრობის კოდექსის, საექიმო საქმიანობის შესახებ კანონის, შრომის კოდექსის, უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონისა და სხვა აქტების დებულებებს.

## ბათუმში საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი იწყება

**ბათუმში კლასიკური მუსიკის მეხუთე საერთაშორისო ფესტივალი Batumi Music Fest იწყება. ფესტივალი წელს UNESCO-ს პატრონაჟით ტარდება და ის ერთი კვირის განმავლობაში, 2 სექტემბრიდან 8 სექტებრამდე გაგრძელდება.**

წლევანდელ Batumi Music Fest-ს ახალი პროექტი „არტ კემპი“ დაემატება. „არტ კემპის“ ფარგლებში, საქართველოს ცნობილი ფრანგი პროფესორი მიშელ სონი ეწვევა, რომელიც ახალგაზრდა ქართველ პიანისტებს მასტერკლასებს ჩაუტარებს. მუსიკალურ ტრენინგებზე დასწრების შესაძლებლობა საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ 350-მდე ბავშვს ექნება.

მიშელ სონი ინოვაციური საფორტეპიანო მეთოდოლოგიის ავტორია. მისი დაწერილი ეტიუდები მოსწავლის კრეატიული წარმოსახვისა და ტექნიკური თავისუფლების განსავითარებლად არის შექმნილი. მიშელ სონის მიდგომის მთავარი მიზანია, ახალგაზრდებისთვის ფორტეპიანოზე დაკვრის სწავლის პროცესი უფრო მარტივი და სასიამოვნო გახადოს.

7 სექტემბერს, ფესტივალის ფარგლებში, საერთაშორისო ფონდი „SOS Talents“-ი ახალგაზრდა პიანისტებისთვის ერთდღიან კონკურსს ჩაატარებს. კონკურსის გამარჯვებულებს ფულადი პრემიები გადაეცემათ და საზღვარგარეთ დაგეგმილ კონცერტებში მიიღებენ მონაწილეობას.

ფესტივალი წელს იუნესკოს პატრონაჟით ტარდება, რაც იმის დასტურია, რომ ფესტივალს მხოლოდ კომერციული დატვირთვა არა აქვს და იმ ღირებულებებს ემსახურება, რასაც აღზრდა, განათლება და მომავალ თაობებზე ზრუნვა ჰქვია. ბათუმის კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი და მის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები ელისო ბოლქვაძის საქველმოქმედო ფონდ „ლირას“ ორგანიზებით იმართება.



# ეკოლოგიური ტერორის პირისპირ

**...ხანძრის გაჩენის ყველა ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, გამოძიება შესაძლო დივერსიის ვერსიაზე მუშაობს, თუმცა გამოძიების დასრულებამდე შს მინისტრი განმარტებებს არ აკეთებს. გიორგი მღებრიშვილის განცხადებით, ახლა მთავარია ხანძრის ლოკალიზება და შემდეგ უკვე გააანალიზებენ მიზეზებსაც.**



**„მოდით, მიზეზებზე ამ ეტაპზე ნუ ვისაუბრებთ. ახლა ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ მოხდეს ამ ხანძრების ლიკვიდაცია და შემდეგ უკვე დავსხდებით და ამ მიზეზებსაც გავაანალიზებთ“,** — განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

რა არის გახშირებული ხანძრების მიზეზი უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ 8 აგვისტოს შემდეგ საქართველოს რეგიონებში ერთმანეთის მიყოლებით ტყის მასივებს ცეცხლი ეკიდება. ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** არ გამორიცხავს, რომ საქმე გვქონდეს ეკოლოგიურ ტერორთან, რომელიც ტერორიზმის ერთ–ერთ კვალიფიკაციაში შედის.

**„ეკოლოგიური ტერორიზმის ნაირსახეობაა. სხვათა შორის — რუსეთში, ვოლგოგრადში და როსტოვში გაჩენილი ხანძრის კვალზე,რუსულმა მხარემ სისხლის სამართლის საქმე ცეცხლის განზრახ გაჩენის ბრალდებით აღძრა. უკვე აქვთ რეალური ვერსია, რომ ცეცხლი განზრახ გააჩინეს. დიდი ალბათობით იგივე ვითარებაა ჩვენთანაც. მით უფრო, თუ გეოგრაფიულად გავავლებთ ხაზს, გამორიცხული არ არის გეოგრაფიული ტერორიზმის ერთიანი სახე იყოს.**

**ერთი და ორი კერა შეიძლება იყოს სტიქიური მოვლენა, მაგრამ როდესაც 5-ზე მეტ კერაზეა საუბარი და თან ერთმანეთის თანმიმდევრულად, აქ უკვე დიდი დაკვირვებაა საჭირო, ანუ ვის აწყობს, ვის მიერ არის ჩადენილი, რისკენ არის მიმართული და რისი მანიშნებელია ეს ყველაფერი. ერთია ეკოტერორიზმი და მეორეა, როცა ეს ღებულობს კატასტროფის სახეს“,** — აცხადებს ვახტანგ მაისაია.

უშიშროების ყოფილი მინისტრი **ვალერი ხაბურძანია** არ გამორიცხავს, როგორც დაუდევრობას, ასევე დივერსიას. ხაბურძანია იმედოვნებს, რომ სათანადო სამსახურები ამ საკითხზე მუშაობენ, რადგან ასეთ ხეობებში სიტუაციის ლოკალიზება —ვინ შევიდა და ვინ გამოვიდა, უფრო დაკვირვებადია.

**„ვის აწყობს — არაკეთილისმოსურნეებს, გაღიზიანებულ ადამიანებს, რომლებიც შეიძლება არაორგანიზებულები არიან, მაგრამ შეიძლება სადღაც იყვნენ ერთმანეთთან კავშირში. მე მაგალითად გავიხსენებდი 2003 წელს ე.წ. ვარდების რევოლუციის წინაპერიოდში ხშირად იყო აფეთქებები, რომელიც მსხვერპლზე არ იყო გათვლილი, მაგრამ აფეთქებდნენ ე.წ. ხლაპუშკებს, ვიღაცებს აშინებდნენ და მოედო მთელ თბილისს, რასაც დინამიკური ქაოსი ვუწოდეთ მაშინ.**

**როდესაც ერთმანეთის მიყოლებით ასეთი პროცესები იწყება, არ გამოვრიცხავ, რომ ვიღაცაზე გაბოროტებული ასეთი ორგანიზებული ჯგუფები, აკეთებდნენ ამას. როდესაც გაიგონეს, რომ იქ სადღაც ხანძარი გაჩნდა და ვერაფერი აღმოაჩინეს, არავინ დაისაჯა, მერე ვიღაცას უჩნდება ცდუნება, რომ სხვაგან გააჩიონოს ხანძარი, ასეთი რამეც შეიძლება იყოს, არ გამოვრიცხავ“,** — ამბობს ვალერი ხაბურძანია.

მისივე თქმით, ახლა მნიშვნელოვანია, საგანგებოდ გამოცხადდეს მოსახლეობის აქტივიზაცია და ყველა ყურადღებით უნდა იყოს ასეთი ჯგუფების გამოსავლენად. ხაბურძანიას განმარტებით, მნიშვნელოვანია შსს—მ მოსახლეობისგან მოითხოვოს აქტიურობა ამ შესაძლო ჯგუფების გამოსავლენად.

**„მით უმეტეს, რომ აქვთ კოსმოსური საშუალებები, ევროპამაც აღუთქვა დახმარება მთავრობას. ტელეფონები და ადამიანთა გადაადგილება უფრო მეტად კონტროლდება. აბასთუმანში 5-კილომეტრიანი ტყეა,აუცილებლად ასეთი ხალხი ტელეფონით გადაადგილდება, არა მგონია, რომ იმდენად მომზადებული იყვნენ, შეცდომა არ დაუშვან. კარგად უნდა იმუშაოს პოლიციამ. ერთი და ორი კაცის გამომჟღავნება უკვე პრევენციაა და თუ ორგანიზებულია, შეჩერდება“,** — აცხადებს ვალერი ხაბურძანია.

საქართველოს ურთულეს ვითარებაში უწევდა ხანძართან ბრძოლა. საქართველოსთან ერთად ხანძრის ჩაქრობის ოპერაციაში ჩართული იყო თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და ბელორუსი. საჭიროების შემთხვევაში საქართველოს ჰქონდა რეზერვში რუსეთის დახმარების მიღების საშუალებაც.

— ბორჯომის ხეობაში ხანძრის სტიქიის მასშტაბები და შექმნილი უაღრესად კრიტიკული ვითარება მოითხოვდა ოპერატიულ და ეფექტურ ქმედებებს, ასევე, შესაბამისი ტექნიკის მოძიებას. გამომდინარე აქედან, ქართულმა მხარემ მიიღო გადაწყვეტილება, ხანძრის სალიკვიდაციო ღონისძიებებში დახმარებისთვის მიემართა სხვა სახელმწიფოებისთვის. მიმართვა მოხდა როგორც გაეროს, ევროკავშირის, ნატოს, ასევე სხვა პარტნიორი ქვეყნებისადმი. ასევე, მოხდა მოძიება ყველა საჭირო ტექნიკის, რომლის გამოყენებაც არსებულ მოცემულობაში შესაძლებელს გახდიდა ეფექტურ რეაგირებას. მათ შორის იყო ტექნიკა, რომელსაც ფლობს რუსეთის ფედერაცია, — აცხადებენ საგარეო საქმეთა სამინისტროში.

შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით რუსეთის მხარეს გაეგზავნა შესაბამისი ნოტა, რაც არის შესაბამისი ფორმალობის და პროცედურის ნაწილი. თუმცა მოგვიანებით რუსეთის ფედერაციის მხრიდან დახმარების აუცილებლობა დღის წესრიგში აღარ დადგა.

ამის მიუხედავად, „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლების წარმომადგენლებს პარლამენტში იბარებს. სალომე სამადაშვილის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები, მინისტრთა კაბინეტის წევრები იტყუებოდნენ, როდესაც ამბობდნენ, რომ არანაირი პირდაპირი მოთხოვნა რუსეთისთვის არ გაგზავნილა.

ოპოზიციის პოზიციას იზიარებს პრეზიდენტის ადმინისტრაცია. პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო საკითხებში თენგიზ ფხალაძე მიიჩნევს, რომ ბორჯომის ხეობაში ხანძრის ლიკვიდაციაში რუსეთისთვის დახმარების თხოვნაში მთავარი პრობლემა ინფორმაციის დამალვაა.

ოპონენტების ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს მმართველი გუნდი. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე **სოფიო ქაცარავა** საჭიროდ არ მიიჩნევს, რომ ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში დახმარების თაობაზე რუსეთისადმი მიმართვის საკითხზე პარლამენტში საგარეო საქმეთა მინისტრი მივიდეს.

**„ბორჯომის ხეობაში კონკრეტული ვითარების დროს საქართველოს მხარემ დახმარებისთვის ყველას მიმართა, მათ შორის, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, გამოყენებული იქნა საერთაშორისო ფორმატები. ეს არის ევროკავშირი, ნატო და გაერო. ასევე საქართველოს მხარემ მიმართა მეზობელ სახელმწიფოებს და აბაშიძე–კარასინის ფორმატში ამასთან დაკავშირებით საუბარი შედგა.**

**იცით, რომ ზურაბ აბაშიძემ ამაზე გააკეთა დეტალური განმარტება. შესაბამისად, რუსეთის მხრიდან დახმარების საჭიროება, როგორც იცით, დღის წესრიგში აღარ დადგა. რადგან ხელისუფლების ძალიან კოორდინირებული, ოპერატიული, ეფექტური მუშაობის შედეგად კატასტროფა თავიდან ავიცილეთ. რაც შეეხება მოსახლეობისთვის ინფორმაციის დამალვას, არავის არაფერი დაუმალავს და ამაზე ზურაბ აბაშიძემ დეტალური განმარტება გააკეთა“,** — განაცხადა სოფიო ქაცარავამ.

**თამთა ქარჩავა**

# რატომ არ გაამართლა მინდია ჯანელიძის „ბრიტანულმა კობრამ“?!

**საქართველოს მთავრობა სტიქიებთან ბრძოლისათვის ქვეყნის მზადყოფნაში მოსაყვანად სისტემური ცვლილებების გატარებას გეგმავს. პრემიერ—მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, „ნებისმიერი ქვეყანა მზად უნდა იყოს ისეთი გამოწვევებისთვის, როგორიც ხანძრებია“ და ამ მიზნით კრიზისების მართვის საბჭოშიც ცვლილებებია გასატარებელი.**

**„ვფიქრობ, როგორც შესაბამისი ინფრასტრუქტურული (ანუ აღჭურვილობის, მანქანების) განახლება, ასევე კრიზისების საბჭოს სტრუქტურის შესაბამისობაში ყოფნა ასეთი ტიპის გამოწვევებთან საბრძოლველად არის აუცილებელი“** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ინიციატივა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა აიტაცა და გამოთქვა მოსაზრება, რომ **„დღევანდელი კრიზისების მართვის საბჭო, რომელიც ბრიტანული „კობრის“ ანალოგია, უნდა მოვარგოთ და თავსებადი გავხადოთ იმ გამოწვევებთან და კრიზისებთან საბრძოლველად, რომლის წინაშეც ჩვენი ქვეყანა დგას“**:

**„ჩვენ დავინახეთ, რომ ხანძარი ქვეყნისთვის მომავალშიც შეიძლება, ძალიან სერიოზული პრობლემა იყოს, ამიტომ თუკი ბრიტანული ინსტრუქციებით ეროვნული დონის შემდგომ ერთვება კრიზისების მართვის საბჭო, შესაძლებელია, გადავხედოთ ამ მიდგომებს: ეროვნული დონე ჩამოიწიოს და უფრო ადრე მოხდეს ქვეყნის რესურსის გამოყენება კრიზისებთან საბრძოლველადო“.**

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის სოფო კილაძის აზრით კი, მთავარი პრობლემა არასაკმარის აღჭურვილობაშია:

**„ყველაზე მეტად რაც გვჭირდება, არის აღჭურვილობა, რომელიც ნამდვილად არ ღირს იაფი. სერიოზული სახსრები სჭირდება შესაბამისი სტრუქტურების მაქსიმალურად აღჭურვასო“.**

ექსპერტები, ხელისუფლების წარმომადგენლებისგან განსხვავებით, თავად კრიზისების მართვის საბჭოს მუშაობას აკრიტიკებენ. ამასთანავე, მათი შეფასებით, ბოლო მოვლენებმა კიდევ ერთხელ ნათელი გახადა, რომ საქართველოში არ არსებობს საგარეო და უსაფრთხოების სისტემა.



**„კრიზისმა გამოაჩინა ინსტიტუციურად მოშლილი სახელმწიფოს მართვის თავდაცვის, უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის არარსებული სისტემა. შესაბამისად, პრობლემის გადაწყვეტა აქედან უნდა დაიწყოს. უნდა შეიქმნას ინსტიტუტები, უნდა იყოს დელეგირებული პოლიტიკური პასუხისმგებლობა და ამ პოლიტიკური პასუხისმგებლობის პოლიტიკურ მოთამაშეებზე გადანაწილების შესაბამისი მექანიზმი“,** — განაცხადა ანალიტიკოსმა ბათუ ქუთელიამ.

ანალიტიკოს ამირან სალუქვაძის აზრით, შესაქმნელია მძლავრი სტრუქტურა:

**„ეს იქნება სამინისტრო თუ დეპარტამენტი — ამას მნიშვნელობა არა აქვს. ამ უწყებას ომის დროსაც ძალიან დიდი ფუნქციები დაეკისრება, მშვიდობიანობის დროს კი ჩვენ ყოველ წელიწადს გვაქვს წყალდიდობები, მეწყერები და, როგორც წელს დავინახეთ, მასშტაბური ხანძრებიც. ახალი სამინისტროს შექმნა ბიუჯეტს არანაირად არ დააწვება, იგივე სტრუქტურები გამოეყოფა ცალკე ელემენტად“,** — თვლის სალუქვაძე.



## BUTA AIRWAYS-ის პირდაპირი რეისი

**აზერბაიჯანულმა დაბალბიუჯეტიანმა ავიკომპანია Buta Airways-მა ბაქო-თბილისის მიმართულებით პირველი პირდაპირი რეისი განახორციელა.**

ავიაკომპანია რეისებს კვირაში ოთხჯერ ორშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევსა და შაბათს ემბრაერის Ე190Ჰ Ე170 ტიპის საჰაერო ხომალდებით განახორციელებს.

Buta Airways აზერბაიჯანის ფლაგმანი ავიაკომპანიის AZAL-ის შვილობილი კომპანიაა, რომელიც 2016 წელს დაფუძნდა და ბაქოს ჰეიდარ ალიევის სახელობის საერთაშორისო აეროპორტშია ბაზირებული.

# სიყვარული მაწერინებს...

## ჩემო სამშობლოვ

წინ ნათლად ვხედავ დღეს განათებულს
და ველოდები ღამეს მთვარიანს,
თუ საქართველო ამობრწყინდება,
ეს მხოლოდ შენით, დედა მარიამ.
თუ შეუძლია, ეს მხოლოდ ლოცვას,
ლოცვას ლამაზს და ღვთისამიერსო,
თუ საქართველო გადიადდება,
ეს შენით, შენით, ქრისტევ, იესო.
დგას ქაშუეთი, წმინდა სამება
და დიდებული ძველი სიონი,
სანთელს გინთებდა დიდი ილია,
აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი.
შენთვის ვლოცულობ მეც მოწიწებით,
იმ მყარ ფესვებზე მდგარი ქართველი,
ჩემო სამშობლოვ, შენთვის ავანთე
შემოწირული ყველა სანთელი.

## საქართველოს პატრიარქს ილია მეორეს

აგვისრულდება ყველა ლოცვა-
კურთხევა თქვენი,
ღვთისმშობლის ხატთან დადებული
ნამდვილი ფიცი,
რომ საქართველო გადიდდება,
გამთლიანდება,
ეს ყველა ქართველს გვწამს, გვჯერა და
ამაყად ვიცით.
დღეს ჩვენს თვალებში თუ კიაფობს
იმედის ცრემლი,
ეს იმედია მომავლის და იმედი შენი,
დაგლოცოს ღმერთმა ვაჟკაცური,
სულით ქართულით,
ყველა ნაბიჯით, მომავლისკენ
წინგადადგმულით.

## გადარჩები, ქართველო

„ტფილისი თუ დიდგორი,
ბასიანი, შამქორი“...
ვინ არ გემუქრებოდა,
მოსპობით და ჩაქოლვით.
დღესაც ომის ქარ-ცეცხლის
ქარტეხილი, შიშია,
მაგრამ გენი გენია,
ჯიში — მაინც ჯიშია.
ქართველი ხარ? იცოდე,
დიდ ჭირ-ვარამს აიტან,
ძარღვში სისხლით ქართულით
შენსას მაინც გაიტან.
მტერი ვერ მოგერევა,
ულირსად რომ გაგთელოს,
არსებობ, იარსებებ,
გადარჩები, ქართველო!

*2008 წლის 8 აგვისტო*

## ბერი თევდორე

ღრმა ხევებს და გადაწოლილ გორებს
ახსოვთ დარდი იმ გარდასულ წელთა,
წამწამებზე შემომდგარი ცრემლით,
ნაოხრები ცხირეთი თუ კველთა.
მიდიოდა, არც შეჩერდა წამით,
მხოლოდ ლოცვა გააგზავნა ღმერთთან,
მახვილს მისცა გული ნაწამები,
საქართველო რომ ვერ გაიმეტა...

## მაგნოლიის ყვავილო

თუ მოგიალერსებ და ერთ კოცნას
მოგპარავ,
ოდნავი სიყვარულიც გულში რომ
გაივლო,
მითხარი რაიმე, თვალებით მითხარი,
ჩემო მაგნოლიის პატარა ყვავილო.



წვიმაში შეგცივდება,
ქარშიც შეგცივდება,
შენ ხომ სითბო გიყვარს
მზით გამოყვანილო,
გულში ჩაგიკრავ და ბევრს მოგეფერები,
თავს შემოგევლები, ლამაზო ყვავილო.

* * *

დღეში ცხრაჯერ წამიკითხავს
ლოცვა ავი თვალისას,
თფუი ეშმაკს! დაგიფაროს,
ალისას და მალისას.
ავგაროზად ყელზე მკიდებს,
კვირტებს მწარე ბალისას,
როგორ სწრაფად მიბრაზდება,
თუ ვერ გამითავისა.
ეჰ, როგორი ამშლელია,
ნერვისა თუ დარდისა,
ვერაფერი ვერ გავიგე,
ამ ცხრა ჭკუა მარტისა.
ხან წვიმის წვეთს შემომაყრის,
ხანაც მზის სხივს მაშუქებს,
ხან იების კონებს მაწვდის,
ხან თოვლის ფიფქს მაჩუქებს.
პატიებასაც კი არ მთხოვს,
თვეა ნება თავისა,
წყენითაც რომ გავისტუმრო,
მაინც მოვა გაისად.

* * *

ჩემი ცხოვრების სიზმარეულში
გადაიქროლეს მარტის ქარებმა,
ჭექა-ქუხილით, ხშირი წვიმებით,
თმაში ჭაღარა მომეპარება.
და თითქოს მთვარე,
ლამაზი მთვარე,
სარკმლიდან მაინც მეამბოხება,
ველარაფერი ველარ გავიგე,
ერთ კალმის მოსმად
არ ღირს ცხოვრება.

* * *

თვალთან გულიც აედევნა
გადაფრენილ წეროებს,
ირგვლივ ქარი თარეშობდა,
ყვითელ ფოთლებს არჩევდა.
გიორგობის თვეში მაინც
ისე გამოვიცვალე,
გაფრენილი წეროების
მონატრება დამჩემდა.
ველარაფერს ვერ ვპატიობ,
დღეებს ცივს და ქარიანს,
შენც კი აღარ მენატრები,
აღარც რა მიხარია.
მშვიდად ვუმზერ იასამნის,
ფერგადასულ ღეროებს,
ნუთუ ველარ დავეწევი
გადაფრენილ წეროებს?!.

**მზია იმერელი**
**ქ. თერჯოლა**

# CNN: საქართველო – კარიბჭე კავკასიაში ფეხით მოგზაურთათვის



CNN-ის სამოგზაურო რუბრიკა CNN TRAVEL საქართველოს შესახებ ვრცელ სტატიას აქვეყნებს. „საქართველო უნიკალურია. მას აქვს ულამაზესი ბუნება და საამაყო სამზარეულო, რასაც ახლავს გულუხვი სტუმართმოყვარეობა. გარდა ამისა, ქვეყანა ნელ-ნელა იხვეჭს ტურისტებს შორის პოპულარული ადგილის სახელს“, — წერს სტატიის ავტორი.

**„მთავარია წინდები, უფრო სწორად კი, მშრალი წინდები. ბარგის ჩალაგებისას, პირველ რიგში, სწორედ წინდებზე უნდა იზრუნო**, — უდარდელი ტონით ამბობს გიორგი, ჩემი გიდი, — **სათადარიგო წყვილის გარეშე ფეხით მოგზაურობა ყოვლად დაუშვებელია“.**

მე კი ისლა დამრჩენია, თანხმობის ნიშნად მას თავი დავუქნიო. ჩვენ მივემართებით ქვევით, ვიწრო, მოუკირწყლავი მთის ბილიკით სოფელ ჯუთისკენ, რომელიც საქართველო-რუსეთის საზღვართან მდებარეობს.

მეც მინდა ავყვე ლაპარაკს იმ ფეხსაცმლის უპირატესობაზე, რომელიც მოგზაურობისთვისაა შესაფერისი, მაგრამ თავიდან არ ამომდის ჩემი წარმოსახვით დახატული სურათი — ულრან ტყეში ბორბალჩავარდნილი ან სულაც ხევში ჩაჩეხილი ჩვენი ჯიპი.

გიორგი გუმანით ხვდება ჩემი სიჩუმისა და კაეშნის მიზეზს და მაშინვე მანუგეშებს, თითქმის ჩაველით, მენდე, ხედები ამად ღირსო.

### ყაზბეგზე ასვლა

გიორგი გიდად მუშაობს სასტუმრო Rooms Hotel Kazbeg-ში, რომელიც სტეფანწმინდაში (ყაზბეგის რეგიონის მუნიციპალური ცენტრი), ერთ-ერთი მთის ფერდობზე,ზღვის დონიდან 1 800 მეტრის სიმაღლეზეა აგებული.

80-იან წლებში, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში შედიოდა, ამ შენობაში ელიტარული სანატორიუმი იყო განლაგებული.

2012 წელს კომპანია Adjara Group Hospitality-მ აღადგინა წლების განმავლობაში უყურადღებოდ მიტოვებული სანატორიუმი, რომელმაც იმავე წლის ივლისში გაუღო სტუმრებს კარი.

ამ სასტუმროს ყველაზე შთამბეჭდავი მხარე ადამიანის ხელს არ შეუქმნია. მოკალათდით შენობის ერთ-ერთ საჯარო სივრცეში, განსაკუთრებით კი ფართო ღია ტერასას გირჩევდით, და თქვენ წინ მთელი თავისი სიდიადით გადაიშლება დედაბუნება.

საქართველოში სიმაღლით მესამე მთის, ყაზბეგის დათოვლილი, ზეცისკენ ატყორცნილი მწვერვალი ღრუბლებს დანასავით აპობს. მისი მზრუნველი კალთის ქვეშ კი დაინახავთ გერგეტის სამების ტაძარს (2 170 მეტრი ზღვის დონიდან), მონუმენტს, რომელიც თანაბრად იზიდავს როგორც მომლოცველებს, ისე მთაში მოგზაურობის მოყვარულთ.

დღე უკვე შუადღისკენ იხრებოდა, ჯუთაში რომ ჩავალწიეთ. კიდევ გვქონდა საკმარისი დრო, რომ დაგვესწრო დედაქალაქ თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან მოზღვავებული ტურისტების ნაკადისთვის. ზამთრის თვეებში ეს სოფელი სრულიად მოწყვეტილია გარე სამყაროს. ასე რომ, წლის დანარჩენ დროს მისი პოპულარობა პიკზეა.

ციცაბო ალმართის დალაშქვრის შემდეგ მივადექით ფეხით მოგზაურთა შორის პოპულარულ საზაფხულო კოტეჯს — „მეხუთე სეზონს“. ეს ადგილი ცნობილია ისეთი ადგილობრივი კერძებით, როგორიცაა კუს ერბო (მლაშე მთიულური ყველით გაჯერებული წვრილად დაჭრილი და შემწვარი კარტოფილი).

**„საოცარი გემო აქვს ამ ადგილს. კიდევ უფრო გემრიელი იქნება, ტბიდან უკან რომ დავბრუნდებით“,** — ამბობს გიორგი.

### უკიდეგანო ბუნება

ამ ეპითეტით გიორგი ამკობს მყინვარულ ტბას ჭიუხის მთის ძირში, რომელიც თითქმის ხუთი კილომეტრითაა დაშორებული წარმოუდგენლად ხასხასა, დიდრონი მთებით გარშემორტყმული მდინარის ველიდან.

ხედები უბრალოდ გამაოგნებელია — უმწიკვლო, ხელუხლებელი, ველური ბუნება, რომელსაც ადამიანის ხელი არ შეხებია.

ტბის პირას შემოგვიერთდნენ ფეხით მოგზაურები მთელი მსოფლიოდან, რაც ზურგს უმაგრებს საქართველოს სტატუსს, როგორც კარიბჭეს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. გამბედავი უკრაინელების ჯგუფი არ შედრკა და ტბის ყინულოვან წყალში გადაეშვა.

### მზარდი ტურიზმი

მათ გვერდით რუსი და თურქი ტურისტების ჯგუფს ვხედავთ, რომლებიც მთის მწვერვალის ხედებით ტკბებიან და სიამოვნებით მიირთმევენ ადგილობრივ ალუბალს.

**„ეს ქვეყანა სამხრეთ კაროლინის შტატის ზომის თუ იქნება. მიუხედავად ამისა, აქ იმდენია სანახავი და გასაკეთებელი!“** — ამბობს ტიმი კოლორადოდან, რომელიც ორი კვირით სტუმრობს კავკასიას და ველოსიპედით მოგზაურობს, — **„აქ არის როგორც ახალი სამთო-საველოსიპედო გზები, ისე, რასაკვირველია, ტრადიციული მარშრუტები ფეხით მოგზაურთათვის. ამასთან, საუცხოო სამზარეულოა, მოსახლეობა კი — ძალიან სტუმართმოყვარე — ასეთი გულთბილი მიღება არსად მინახავს!“**

ის სიმართლეს ამბობს. საქართველო უნიკალურია. მას აქვს ულამაზესი ბუნება და საამაყო სამზარეულო, რასაც ახლავს გულუხვი სტუმართმოყვარეობა. გარდა ამისა, ქვეყანა ნელ-ნელა იხვეჭს ტურისტებს შორის პოპულარული ადგილის სახელს. ასე რომ, ჯერ კიდევ წინ არის ახალი აღმოჩენების რომანტიკული განცდა.

ქვეყნის ტურისტულ პოტენციალზე ფიქრებში გართულმა ვერცკი შევნიშნე, როგორ აღმოვჩნდი მუხლამდე მთის კალთის ძირში გიჟმაჟი მდინარის აბობოქრებულ ტალღებში. გიორგის დახმარებით წყლიდან ამოვდივარ. ჩემი მეგზური აშკარად ნიშნის მოგებით მიყურებს და გულში გამარჯვებას ზეიმობს.

**„შენ მაგაზე არ იდარდო, მეგობარო. ჩემს მშრალ წინდებს მოგცემ“,** — წერს CNN travel-ი.

**9 წლის წინათ, 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ხელი მოაწერა ბძანებულებებს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების თაობაზე. აღიარების წლისთავზე რუსულ მედიაში ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე პუბლიკაცია გაჩნდა, რომლებშიც ომის შემდგომ სოხუმისა და ცხინვალისთვის კონფედერაციის შექმნის შეთავაზებაზეა საუბარი მასთან „საქართველოს შემდგომი მიერთების“ პერსპექტივით.**

კერძოდ, „РИА Новости“-მ აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა ექს-მინისტრ სერგეი შამბასთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომელშიც იგი 2008 წლის 26 აგვისტომდე განვითარებულ მოვლენებს ასე იხსენებს:

**„მაშინ დიმიტრი მედვედევმა შემოგვთავაზა ოსეთსა და აფხაზეთს შორის კონფედერაციული კავშირის შექმნა. აღმოჩნდა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში უკვე პროექტიც იყო მომზადებული. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის იმჟამინდელი ლიდერები სერგეი ბაღაფში და ედუარდ კოკოითი მოსკოვში დაიბარეს და პროექტი გასაცნობად გადასცეს, რის შემდეგაც ბაღაფშმა დოკუმენტის განსახილველად მეც მოსკოვში გამომიძახა.**

ვცდილობდი, დამერწმუნებინა ბაღაფში, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის კონფედერაცია შეუძლებელი იყო — ორ რესპუბლიკას ხომ საერთო საზღვარიც კი არა აქვს. მოგვიანებით პროექტის ბოლო პუნქტში ამოვიკითხე დათქმა, რომ **„შესაქმნელ კონფედერაციას შეიძლება, სხვა ქვეყნებიც შეუერთდნენ, მათ შორის — საქართველო“**. ამდენად, გამიჩნდა ეჭვი, რომ დოკუმენტის ეს ვარიანტი შესაძლოა, ნიკოლა სარკოზის (საფრანგეთის ექს-პრეზიდენტი, რომელიც იმხანად რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარების თემაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდა) ინიციატივით ყოფილიყო მომზადებული იმის დასადგენად, იქნებოდნენ თუ არა ამისთვის მზად სოხუმი და ცხინვალი. ორივე მხარემ — აფხაზურმაც და ოსურმაც პროექტი განიხილეს და დაასკვნეს, რომ იგი მიუღებელია.

ჩემმა ოსმა კოლეგამ მურატ ჯიოევმა, რომელიც იქ იმყოფებოდა, განაცხადა, რომ თუ კოკოითი ამას ხელს მოაწერდა, ერჩივნა, ოსეთში აღარ დაბრუნებულიყო... მეორე დღეს კვლავ შევიკრიბეთ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში და ვთქვით, რომ ეს არ გვაწყობდა“.

არადა, მოსკოვში შედგენილი პროექტი, შამბას აზრით, შესაძლოა, მისაღები ყოფილიყო კონფლიქტის ყველა მხარისათვის, ასევე ევროპისა და საქართველოსთვისაც, **„რომელმაც ყველაფერი დაკარგა და ეს ბოლო შანსი იყო“**. რუსეთისთვის კი ეს, მისი მოსაზრებით, სასარგებლო იქნებოდა იმ თვალსაზრისით, რომ მას დასავლეთის ქვეყნებთან დაპირისპირება არ მოუწევდა.

**„მაშინ დავიშალეთ, თუმცა რამდენიმე დღეში კვლავ შედგა შეხვედრა ბოჩაროვ რუჩეიში — ბაღაფში, კოკოითი და მედვედევი შეიკრიბნენ. მედვედევმა თქვა: „ვიცი, რომ უარი თქვით ამ პროექტზე. მაშინ სხვა არაფერი დაგვრჩენია, თუ არა თქვენი ქვეყნების დამოუკიდებლობა ვაღიაროთო“,** — აღნიშნა შამბამ.

იმავე დღეს „РИА Новости“-მ ამ თემაზე მეორე მასალა გამოაქვეყნა, რომელშიც მოწვეული ექსპერტი კონსტანტინე ტასიცი ამტკიცებს, რომ კონფედერაციის იდეას **„თავად მიხეილ სააკაშვილმა გამოუთხარა ძირი“,** შეცვალა რა პრეზიდენტ მედვედევისა და მისი ფრანგი კოლეგის — ნიკოლა სარკოზის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის მე-6 პუნქტი:

**„იმ ვითარებაში, როდესაც რესპუბლიკები ჯერ აღიარებულები არ იყვნენ, რუსეთს ჰქონდა შესაძლებლობა, ერთობლივი სახელმწიფოს ან თანაცხოვრების რაღაც ვარიანტები შეეთავაზებინა, რომელიც ერთიანი ფედერაციული სახელმწიფოს ან კონფედერაციის ფარგლებში ეროვნული უმცირესობების — აფხაზებისა და ოსების უფლებების დაცულობას და უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. ამ იდეის განხორციელებას ორმა გარემოებამ შეუშალა ხელი: ქართული მხარის შეუვალობამ და თბილისსა და ამბოხებულ რესპუბლიკებს შორის ურთიერთუნდობლობამ. ქართულ მხარეს გადამეტებული მოთხოვნები ჰქონდა, იგი ფედერაციაზე არ მოდიოდა.** როგორც ცნობილია, მანამდე აფხაზი ლიდერები ამბობდნენ, რომ თანახმანი იყვნენ ფედერაციულ მოწყობაზე, გაფართოებულ ავტონომიაზე ქართული სახელმწიფოს ფარგლებში. თუმცა იმ მომენტში საქართველო არ იყო მზად, მსგავს დათმობებზე წასულიყო. კონფედერაციის იდეას თავად მიხეილ სააკაშვილმა გამოუთხარა ძირი. კონფლიქტის დარეგულირების ფარგლებში მედვედევისა და სარკოზის მიერ ხელმოწერილ შეთანხმებაში იყო მე-6 პუნქტი: **„აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სამომავლო სტატუსის საკითხებზე საერთაშორისო განხილვების დაწყება“**. სააკაშვილმა იგი ამოშალა და ფორმულირება შემდეგით ჩაანაცვლა: **„აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საერთაშორისო გარანტიების შექმნა“. ანუ, მან, პრინციპში, უარყო ქვეყნის მოწყობის რთული კონსტრუქციების განხილვა და იმ სიტუაციაში არ დაუტოვა რუსეთს სხვა არჩევანი უსაფრთხოების რაღაც გარანტიებისა და სამართლებრივი ველის შესაქმნელად, გარდა ამ რესპუბიკების აღიარებისა“.**

ოკუპირებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო საგარეო უწყების ამჟამინდელი ხელმძღვანელი დიმიტრი მედოევი 2008 წლის ომის შემდეგ ოსური მხარისთვის კონფედერაციის შეთავაზების შესახებ ინფორმაციის კომენტირებისგან თავს იკავებს:

**„ჩემთვის ამაზე საუბარი რთულია, რადგან იმ მოლაპარაკებების მონაწილე არ ვყოფილვარ“** — განუცხადა „Эхо Кавказа“-ს მედოევმა.

დე ფაქტო საგარეო საქმეთა იმჟამინდელმა მინისტრმა მურატ ჯიოევმა ვერ დაუდასტურა რუსულ გამოცემა „РБК“-ს, რომ კონფედერაციის მსგავსი პროექტი სამთავრობო დონეზე განიხილებოდა:

**„მაშინ მეც საგარეოს ხელმძღვანელად ვმუშაობდი და, სიმართლე გითხრათ, არ მახსენდება, ვინმეს ჩვენთვის მსგავსი პროექტი სერიოზულ დონეზე შემოეთავაზებინოს“.**

მოგვიანებით სხვა მედიასაშუალებებს ჯიოევი ამ საკითხის კომენტირებაზე უარს ეუბნებოდა: **„შვებულებაში ვარ და, ესეც რომ არა, არც შემიძლია და არც მსურს არაფრის კომენტირებაო“.**

ე.წ. სამხრეთ ოსეთის იმჟამინდელი დე ფაქტო პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი კი არ მალავს, რომ საქართველოსთან კონფედერაციის იდეა მართლაც იყო შეთავაზებული და რომ ამ წინადადებას **„თან ახლდა დარწმუნების საკმაოდ მტკიცე მეთოდები“,** თუმცა ირწმუნება, რომ ეს 2008 წლის ომამდე ბევრად ადრე ხდებოდა, კერძოდ 2006 წელს:

— მაშინ ჩემი მხრიდან შემდეგი პასუხი იქნა გაცემული: ახლახან არჩევნებზე ოსი ხალხისგან 96%-იანი ნდობის მანდატის ხელმეორედ მიღების მიუხედავად, უფლება არ მაქვს, გადავუხვიო ამომრჩეველთა კიდევ უფრო დიდი რაოდენობის — 99%-ის აზრს, რომელიც იმავე არჩევნების დროს გამოიხატა და სამხრეთ ოსეთისთვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნების აუცილებლობას ითვალისწინებს. 2008 წლის ომის შემდეგ კი აგრესორ სახელმწიფოსთან კონფედერაციული ურთიერთობების ჩამოყალიბების საკითხი აღარ დასმულა და ვერც დაისმებოდა, — განუცხადა „Эхо Кавказа“-ს კოკოითის სიტყვებზე დაყრდნობით მისმა წარმომადგენელმა.

ოს ექსპერტ იური ვაზაგოვს ომის შემდგომ მსგავსი იდეის გაჟღერება ნაკლებად სარწმუნოდ მიაჩნია. მისი აზრით, რუსეთის ხელისუფლება რომ იმხანად კონფედერაციის იდეის სერიოზულ განხილვაში ყოფილიყო ჩართული, 2008 წლის 26 აგვისტოს კარდინალურად განსხვავებულ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა.

**„არავისთვისაა საიდუმლო, რომ რუსეთის გარკვეულ პოლიტიკურ წრეებში მსგავსი მოსაზრებები ადრეც არსებობდა. თუმცა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ბედის საკითხი რუსეთის უმაღლესი ხელმძღვანელობის დონეზე წყდებოდა, იქ კი ქართული აგრესიისა და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების, ასევე რუსი მშვიდობისმყოფლების მიმართ ჩადენილი მხეცობების ფონზე იმ მომენტისთვის მომწიფდა ერთადერთი სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილება: ეროვნული ინტერესების გათვალისწინებითა და კავკასიაში სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით ეღიარებინათ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა... მედვედევი რომ სერიოზულად ყოფილიყო გამწყობილი, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის კონფედერაცია შეეთავაზებინა, ორ კვირაში სულ სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებდნენ“.**

# „გაღმა ნაპირიდან“ ტყუილებს აფრქვევენ!

## სოხუმი – თბილისი – ცხინვალი: ამზადებს თუ არა მოსკოვი ნიადაგს თბილისისთვის კონფედერაციული მოწყობის იდეის შესათავაზებლად?!



**რუსეთის ხელისუფლება რომ იმხანად კონფედერაციის იდეის სერიოზულ განხილვაში ყოფილიყო ჩართული, 2008 წლის 26 აგვისტოს კარდინალურად განსხვავებულ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა.**

რუსმა პოლიტოლოგმა ნიკოლაი სილაევმა კი „Эхо Кавказа“-სთვის მიცემულ ინტერვიუში გამოთქვა მოსაზრება, რომ სერგეი შამბას მონათხრობი **„რამდენიმე ნაკლებადდაკავშირებადი ისტორიის შეერთების მცელობაა“:**

მოსკოვს მართლაც ჰქონდა მცდელობები, ომის შემდეგ სიტუაციიდან ისეთი გამოსავალი ეპოვა, რომ ხისტი და შეუქცევადი ნაბიჯები თავიდან აეცილებინა. მედვედევ-სარკოზის შეთანხმების პირველი ვარიანტის მე-6 პუნქტი, რომელიც მოსკოვში იყო შეთანხმებული და შემდეგ სარკოზიმ თბილისში ჩაიტანა, სწორედაც რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის განხილვას ითვალისწინებდა. ცხადია, მსგავს ვარიანტში გადაწყვეტილება არ იქნებოდა და კიდევ მრავალი წლის განმავლობაში გაგრძელდებოდა სტატუსის განხილვა, — ზუსტად ისევე, როგორც, მაგალითად, განიხილება მთიანი ყარაბაღის სტატუსი. და სწორედ ამ პუნქტის შეცვლა მოითხოვა სააკაშვილმა. მან განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა განხილვას არ ექვემდებარება. და ამის შემდეგ (აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის) აღიარება გარდაუვალი გახდა. შამბამ უბრალოდ აიღო ორი ისტორია, შეეცადა, ისინი გაეერთიანებინა და არცთუ სარწმუნოდ გამოუვიდა. საქმე ისაა, რომ მანამ, სანამ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არ აღიარებდნენ, არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თანახმანი იყვნენ ისინი კონფედერაციაზე თუ არა, ვინაიდან ასეთ სიტუაციაში ისინი სამართლის სუბიექტებს არ წარმოადგენდნენ.

— მაგრამ კონფედერაციის შექმნის საკითხი შეიძლებოდა, კონფლიქტის დარეგულირების კონტექსტში განხილულიყო...

**— მედვედევ-სარკოზის შეთანხმება მხოლოდ სტატუსის გარშემო დისკუსიას ითვალისწინებდა, და, გასაგებია, რომ მსგავსი დისკუსია იმთავითვე კონფედერაციას არ გულისხმობს. აქ საუბარი იყო მხოლოდ დისკუსიაზე. ეს იყო უბრალოდ უფრო რბილი გადაწყვეტილების ვარიანტი, 2008 წლის ომიდან უფრო რბილი გამოსავალი, თუმცა ქართულმა მხარემ მასზე უარი თქვა — ესაა მთელი ისტორია“.**

ქართველ ექსპერტებს სერგეი შამბას მიერ მოყვანილი სცენარის არსებობის არ სჯერათ...

**„თუ მაინც დავუშვებთ, რომ შამბას განცხადებები სიმართლეს შეესაბამება, შეგვიძლია, დარწმუნებით ვთქვათ, რომ რუსეთი თბილისის აღებას, აქ მარიონეტული მთავრობის დასმას და მხოლოდ ამის შემდეგ ფორსირებული ტემპებით კონფედერაციის შესახებ შეთანხმების გაფორმებას გეგმავდა. როდესაც თბილისის აღების გეგმა ჩაიშალა, რუსეთმა ამ რეგიონების დამოუკიდებლობა აღიარა. ვფიქრობ, აქ საქმე გვაქვს ინფორმაციის გამიზნულად გავრცელებასთან, რომელიც რუსეთის სამთავრობო რესურსის მიერაა ორგანიზებული. ამით რუსეთში, უპირველესად, ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ საქართველოს რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარება არ სურდათ და ეს სოხუმისა და ცხინვალის შეუვალობის გამო მოუწიათ. თუმცა რუსეთს არავინ უშლიდა ხელს, აღიარების მიმართულებით არ აჩქარებულიყო და მოლაპარაკებები მაშინ გაემართა და არა კონფლიქტის ცხელი ფაზის დასრულებიდან 10 დღეში; და მეორეც, ვერ გამოვრიცხავთ, რომ მოსკოვი ნიადაგს ამზადებდეს თბილისისთვის საქართველოს კონფედერაციული მოწყობის იდეის ხელახალი განხილვის შეთავაზებისთვის“** — თვლის დამოუკიდებელი ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე.

კონფლიქტოლოგ ლევან გერაძის აზრით კი, რუსეთს რომ კონფედერაციის შექმნა მტკიცედ ჰქონოდა გადაწყვეტილი, დასაწყისისთვის მედვედევ-სარკოზის შეთანხმების იმ პუნქტების შესრულება უნდა დაეწყო, რომელიც რუსეთის შეიარაღებული ძალების ომამდელ პოზიციებზე დაბრუნებას ითვალისწინებს და რომელიც დღემდე არ შეუსრულებია:

**„ყველა მსგავსი საინფორმაციო „შემოგდება“ მსოფლიოში კონფლიქტების დარეგულირებაში რუსეთის პოზიტიური როლის შესახებ მითის შექმნას ისახავს მიზნად. დარწმუნებული ვარ, სამომავლოდ მსგავსი მასშტაბის კიდევ არაერთი საინფორმაციო გაჟონვის მომსწრენი გავხდებით და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ამ სცენარს არცთუ ცოტა მხარდამჭერი გამოუჩნდება საქართველოში. უნდა გვესმოდეს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ რუსეთის ნებისმიერი წინადადება გულისხმობს მის ინტეგრაციას ერთიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში ევროატლანტიკურ კურსზე მტკიცე უარის თქმის პირობით“.**

თუმცა იგივე კონსტანტინე ტასიცს ამ ეტაპზე კონფედერაციის იდეის განხილვა უკვე ნაკლებ რეალისტურად მიაჩნია:

**„ამჟამინდელ ვითარებაში, როდესაც რუსეთს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი უკვე აღიარებული ჰყავს და მათ საკუთარი სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის შესაძლებლობა გააჩნიათ, სოხუმისა და ცხინვალის დაინტერესება საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზებით კიდევ უფრო დაბალია. ამდენად, თუ დღეს თბილისის, სოხუმისა და ცხინვალის რაიმე ურთიერთქმედებაზე ვისაუბრებთ, ახლა იგი კიდევ უფრო სუსტი უნდა იყოს, ვიდრე კონფედერაციული. ძნელი სათქმელია, არსებობს თუ არა მსგავსი მაგალითები საერთაშორისო ურთიერთობებში“.**

ანალოგიური მოსაზრება აქვს ნიკოლაი სილაევსაც:

**— სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარების გარემოებები ისტორიკოსებისთვისაა საინტერესო, პრაქტიკული პოლიტიკის თვალსაზრისით კი ახლა ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. შედეგია მნიშვნელოვანი, შედეგი კი იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აღიარა“.**

**ახალი ამბების სააგენტო „აქცენტი“**

*მასალა მომზადებულია პროექტის „ინტეგრირება ინფორმირებით“ ფარგლებში, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის მხარდაჭერით*

# ქვეყნები დიზელზე მოძრავი ავტომანქანების აკრძალვისთვის ემზადებიან

**დედამიწაზე სიკვდილის გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი და, შესაბამისად, ჯანდაცვის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი ჰაერის დაბინძურებაა. მთელ მსოფლიოში ჰაერის დაბინძურების გამო ყოველწლიურად, საშუალოდ 6.5 მილიონი ადამიანი იღუპება, — ნათქვამია ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს 2016 წლის ანგარიშში. აქედან 600 ათასზე მეტი 5 წლამდე ასაკის ბავშვია, რომელიც დაბინძურებასთან დაკავშირებული დაავადებებით და ინფექციებით იღუპება, ანუ თითქმის ყოველი მეათე ბავშვი დედამიწაზე.**




**გადამწყვეტი ბრძოლა ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ**

სახელმწიფოები გადამწყვეტ ზომებს იღებენ. ჩინეთმა, გარემოს ერთ-ერთმა მთავარმა დამბინძურებელმა, გასულ კვირას განაცხადა, რომ პეკინის და შანხაის გარდა, ჩრდილოეთის კიდევ 26 დიდ ქალაქში ჰაერის დაბინძურებას 15 პროცენტამდე შეამცირებს.

წარმატებულ ნაბიჯებს დგამენ ევროპის ქვეყნებშიც, სადაც ჰაერის ხარისხი სხვა ქვეყნებთან შედარებით, გაცილებით მაღალია და მანქანის გამონაბოლქვიც უკეთ რეგულირდება. საფრანგეთი 2022 წლამდე მთლიანად დაასრულებს ქვანახშირით ელექტროენერგიის წარმოებას. ატომურ სადგურებზე ნაწარმოებ ელექტროენერგიას კი 2025 წლამდე 75-დან 50 პროცენტზე დაიყვანს.

2040 წლიდან საფრანგეთი ბენზინზე და დიზელზე მოძრავი მანქანების აკრძალვასაც გეგმავს. ამის შესახებ განცხადება საფრანგეთის გარემოს დაცვის სამინისტრომ გასულ თვეში გააკეთა, რასაც ქვეყნის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა „რევოლუციური“ ნაბიჯი უწოდა. მანამდე კი, 2020-დან პარიზის მერი დედაქალაქში დიზელზე მოძრავ მანქანებს კრძალავს. საფრანგეთის გარემოს დაცვის მინისტრის ნიკოლას ჰულოს განცხადებით, დაბალი შემოსავლის მქონე მძღოლებს სუფთა ენერგიაზე მოძრავი მანქანების შესაძენად ფინანსურ დახმარებას გაუწევენ. მთავარია, რომ მსოფლიოს ზომით მე-6 ეკონომიკის მქონე ქვეყნის ავტომწარმოებლები მთავრობის გეგმას ემხრობიან და ბაზრის ახალ მოთხოვნებს ერგებიან.

PSA Group — ფრანგი ავტომწარმოებლების გაერთიანება, რომელშიც შედის ისეთი ცნობილი კომპანიები, როგორიცაა „პეჟო“ და „სიტროენი“, აცხადებს, რომ 2023 წლამდე ელექტრო და ჰიბრიდული მანქანების გამოშვებას 80 პროცენტამდე გაზრდის. დღეს მათი წარმოება პროდუქციის მოცულობის მხოლოდ 4.7 პროცენტს შეადგენს.

საფრანგეთის შემდეგ, ძალიან მალე, ანალოგიური განცხადება გააკეთა ბრიტანეთმა. იქაც 2040 წლიდან, ბენზინზე და დიზელზე მომუშავე მანქანებს ველარავინ შეიძენს. ლონდონის მერიც დიზელზე მოძრავი მანქანების აკრძალვას უფრო ადრე, 2020 წელს გეგმავს. მიზეზად გაერთიანებული სამეფოს მთავრობა ჰაერში ემისიების დონის ზრდას ასახელებს, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის ერთ-ერთი უმთავრესი რისკია.

ბრიტანული და ფრანგული კომპანიები ამ საქმეში მარტო არ არიან. დიდი ტრადიციის მქონე ბრენდებს შორის, ყველას დაასწრო ცნობილმა შვედურმა ავტომწარმოებელმა „ვოლვომ“. მან პირველმა დათქვა ყველაზე ამბიციური თარიღიც: 2019 წელი. სულ რაღაც ორ წელიწადზე ნაკლებ დროში „ვოლვო“ მარტო ელექტრომანქანებს ან ჰიბრიდებს გამოუშვებს.

ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ ეს შიდა წვის ძრავის დასასრულის დასაწყისი იყოს. „ბი-ბი-სი“-ს მონაცემებით, დღეს ასეთი მანქანები მთელი ევროპული ბაზრის 95 პროცენტს შეადგენს.

„ტესლას“ საფუძველი 2003 წელს ჩაეყარა. ცნობილმა მილიარდერმა, ინოვატორმა და ფილანტროპმა ელონ მასკმა კომპანიის დაარსებისას განაცხადა, რომ მათი მთავარი მიზანი გარემოს დაცვა და ჰაერის კიდევ უფრო მეტი დაბინძურებისგან გადარჩენა იყო. „ტესლა“ ამერიკის შეერთებულ შტატებში მხოლოდ ელექტრომანქანების გამოშვებით არ შემოიფარგლება, ის მზის ბატარეებსაც აწარმოებს და მზის ენერგიის შენახვაშიც სპეციალიზდება.

იყო დრო, როცა ამერიკაში ბენზინი უსარგებლო, მეორად ნავთობპროდუქტად ითვლებოდა. ნავთობის მიღების შემდეგ, მას ცეცხლს უკიდებდნენ ან მდინარეში ღვრიდნენ. ეს იყო მე-19 საუკუნის ბოლოს. ერთი საუკუნის შემდეგ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა: მანქანების მასობრივი წარმოების შედეგად, ბენზინზე მოთხოვნა კატასტროფულად გაიზარდა და ის ავტოწარმოების განუყოფელი ნაწილი გახდა.

რა მდგომარეობა გვექნება კიდევ ერთი საუკუნის ბოლოს? შეგვიძლია, ერთი დრამატული ცვლილება უკვე ვივარაუდოთ: ჯერჯერობით ყველა მაჩვენებელი იმაზე მიუთითებს, რომ 21-ე საუკუნის ბოლოს, ე.წ. შავი ოქრო მნიშვნელოვნად გაუფასურდება. მართალია, ბენზინს მხოლოდ ავტომანქანა არ მოიხმარს, მაგრამ ის ბაზარზე წამყვან დამკვეთად რჩება. ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს მონაცემებით, 2015 წელს სამგზავრო მანქანები გლობალურად ბენზინის მოთხოვნის ყველაზე მეტ, 26 პროცენტს შეადგენდა. გაცილებით მეტს, ვიდრე ავიაცია და გადაზიდვები ერთად აღებული.

## რას გეგმავენ სხვა ქვეყნები?

- **ინდოეთი:** ემისიების გამოყოფის შემცირება 2020 წლამდე 20-25 პროცენტით იგეგმება;
- **მექსიკა:** დიზელზე მოძრავი მანქანები მეხიკოში 2025 წლიდან იკრძალება;
- **საბერძნეთი:** 2025 წლიდან ათენი დიზელზე მოძრავ მანქანებს კრძალავს;
- **ნორვეგია:** ოსლოს ცენტრში, 1.7 კვადრატული კილომეტრის რადიუსში მანქანების დაყენება უკვე აკრძალულია. 2019-ში მანქანების მოძრაობაც აიკრძალება. მოსახლეობა ცენტრში ძირითადად საზოგადოებრივ ტრანსპორტს, ან ველოსიპედს იყენებს. ნაწილი ფეხით დადის. 2025 წლიდან ნორვეგია დიზელზე და ბენზინზე მოძრავ მანქანებს კრძალავს;
- **ესპანეთი:** მადრიდის ცენტრში 2020 წლიდან 2 კვადრატული კილომეტრის რადიუსში მანქანების მოძრაობა იკრძალება, 2025 წლიდან კი მთელ ქალაქში დიზელზე მოძრავი მანქანები აიკრძალება;
- **გერმანია:** ჰამბურგში 20 წელიწადში მანქანის სავალი ნაწილი ტროტუარების და ველობილიკების ხარჯზე ისე შემცირდება, რომ ქალაქის 40% მწვანე პარკებით და სათამაშო მოედნებით იქნება დაფარული;
- **აშშ:** ამერიკულ ქალაქებს შორის სან-ფრანცისკო ლიდერობს. ის მანქანებს კრძალავს ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე დატვირთულ ქუჩაზე, მარკეტ-სტრიტზე. თავისუფალი ზონის რადიუსი — 3.5 კილომეტრს აღემატება;
- **ბელგია:** ბრიუსელში 1998 წლამდე გამოშვებული დიზელზე მოძრავი მანქანები 2018 წლიდან იკრძალება. ბრიუსელს ევროპაში სიდიდით მეორე მანქანებისგან თავისუფალი ცენტრი უკვე აქვს. 28 ჰექტრით, ის მხოლოდ ვენეციას (იტალია) ჩამოუვარდება. ბრიუსელი ზონის თითქმის გაორმაგებას, 50 ჰექტრამდე გაზრდას გეგმავს.

AMERIKISKHMA.COM



## ნუდისტური ზონა გაიხსნა

**პარიზის გარეუბანში მდებარე საზოგადოებრივ პარკში ნუდისტური ზონა გაიხსნა. სიშიშვლის მოყვარულებისათვის განკუთვნილი ტერიტორიის ფართობი ფეხბურთის სტადიონის ზომისაა. ნუდისტური ზონა ვენსენის ტყეში მოეწყო და 15 ოქტომბრამდე იქნება ღია. ზონაში ყოფნა ნუდისტებს დილის 8-დან საღამოს 8 საათამდე შეეძლებათ.**

## „ჰარვიმ“ 47 ადამიანი იმსხვერპლა

**ქარიშხალ „ჰარვის“ შედეგად დაღუპულთა რიცხვი 47-მდე გაიზარდა. სტიქიამ 37 000-ზე მეტი სახლი დააზიანა. ყველაზე მეტად ჯეფერსონის ოლქი დაზარალდა, სადაც 5500-მდე სახლი დაინგრა. ექსპერტების შეფასებით, სტიქიით გამოწვეული ზარალი ათობით მილიარდ დოლარს ითვლის.**

## ერდოღანი ამერიკულ მართლმსაჯულებას აკრიტიკებს

**თურქეთის პრეზიდენტმა ამერიკის სასამართლოს მიერ მისი დაცვის 15 წევრისთვის ბრალის წაყენებას სამარცხვინო უწოდა.**

**„ეს იმაზე მიანიშნებს, თუ როგორ მუშაობს შეერთებულ შტატებში მართლმსაჯულება. მე ამ საკითხს პრეზიდენტ ტრამპთან აუცილებლად დავაყენებ,“-აღნიშნა ერდოღანმა. მისი დაცვის 15 წევრს ვაშინგტონში თურქეთის ელჩის რეზიდენციასთან არეულობაში მონაწილეობის გამო ამერიკულმა სასამართლომ ბრალი 30 აგვისტოს წაუყენა. ინციდენტი ვაშინგტონში 16 მაისს მოხდა. დაცვის წევრები რეზიდენციასთან შეკრებილ ერდოღანის მოწინააღმდეგეებს ფიზიკურად გაუსწორდნენ.**

## სოროსის წინააღმდეგ პეტიციას აგროვებენ

**ანტისოროსისტები ცნობილი ფილანტროპის ტერორისტად გამოცხადებას მოითხოვენ. შესაბამისი ინიციატივით დონალდ ტრამპს აქტივისტთა ჯგუფმა მიმართა. პეტიციას ხელი უკვე მოაწერა 63 ათასზე მეტმა ადამიანმა. პეტიცია თეთრი სახლის ვებ-გვერდზეა განთავსებული.**

**მისი ავტორები ჯორჯ სოროსს მსოფლიოში დესტაბილიზაციის შეტანის მცდელობაში ადანაშაულებენ.**

## რუსეთის საკონსულოებს ხურავენ

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი რუსეთის საკონსულოების დასახურად ორ დღეს აძლევს. ვაშინგტონში განმარტავენ, რომ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც რუსეთმა აშშ საელჩოში თანამშრომლების შემცირება მოითხოვა.**

**ტილერსონის უწყების განცხადებიდან მალევე, სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა. სერგეი ლავროვმა საკონსულოს დახურვის შესახებ გადაწყვეტილებას სამწუხარო უწოდა.**

## ახალი სწრაფმავალი მატარებელი...

**ჩინური აეროკოსმოსური კორპორაცია (CASIC) ახალი სწრაფმავალი მატარებლის გამოშვებას აპირებს, რომელიც საათში 4 ათასი კილომეტრ სიჩქარეს განავითარებს. HyperFlight ტიპის მატარებელი მაგნიტური სისტემით იქნება აღჭურვილი და გვირაბში დაბალი ვაკუუმით იმოძრავებს. ახალი მოდელის შექმნაში მონაწილეობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 20 ცნობილი კონსტრუქტორი მიიღებს.**

## ფუტკრებმა ვერაფერი დააკლეს!



**ტორონტოში ახალი რეკორდი დამყარდა. ონტარიოელმა ხუან კარლოს ნოგეზ ორტისმა დახურულ სივრცეში ფუტკრებთან ერთად 61 წუთი გაატარა, რითაც წინა რეკორდი 7 წუთით გააუმჯობესა. შუშის ყუთში ათასობით ფუტკრის გარემოცვაში ორტისი მშვიდად იჯდა, მიუხედავად იმისა, რომ მწერებმა მას რამდენჯერმე მწარედ უკბინეს.**

◎ წინ, საქართველოვ!

# რიხიანად – სტამბოლისკენ!

**გაგიკვირდებათ, ალბათ, მაგრამ სათქმელი, მილოცვის ნაცვლად, საყვედურით უნდა დავიწყო.**

არ გეგონოთ, მხოლოდ სხვებს ვამუნათებდე. არავითარ შემთხვევაში – უპირველესად, საკუთარ თავს განვიკითხავ.

ალბათ, გემახსოვრებათ, რომ XXI საუკუნეში ქართველი გულშემატკივარი დედაქალაქის ქუჩებში ერთადერთხელ თანამემამულე ფეხბურთელთა მიერ რუსებთან მოპოვებულმა გამარჯვებამ გამოიყვანა. ასე მგონია, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ მაშინდელი დროშების ფრიალი, გარკვეულწილად მაინც, ურა-პატრიოტიზმით იყო ნასაზრდოები, თორემ მნიშვნელობით, დამეთანხმებით, ანალოგიურ პატივს არანაკლებ იმსახურებდნენ (და იმსახურებენ) „ბორჯღალოსანი“ მორაგბეები და „ჯვაროსანი“ კალათბურთელები. ჰოდა, სწორედ ამიტომ ვკითხულობ: რამ დაგვიბორკა ფეხები ზაფხულის უკანასკნელ საღამოს – დავიჯეროთ, ისრაელში ტრიუმფით დაწყებული ევრობასკეტი რიგითი, სასხვათაშორისო მოვლენაა?

თუ ვინმე მიპასუხებს, რომ წარმატებას შეკვეთით კი არა, სულისა და გულის კარნახით უნდა აღნიშვნაო, კიდევ უფრო უარესად ყოფილა საქმე – ან 2000-იანი წლების გარიყრაჟზე წამოყელყელავებულ ვარდოსნებს დაურაზმავთ მასები „პო ზაკაზუ“ საზეიმოდ, ან გაზარმაცებულ და სიცხისგან გათანგულ ქართველობას ქომაგობა დავიწყნია.

ეს ისე, ლირიკულ გადახვევასავით, ახლა კი, მოდით, აღთქმულ მიწაზე შობილ ძლევაი საკვირველს დავუბრუნდეთ.



**საქართველო – ლიტვა 79:77**
**(18:18, 16:21, 25:18, 20:20)**

**საქართველო:** შენგელია – 29, სანაძე – 13, დიქსონი – 12, შერმადინი – 9, ფაჩულია – 8 (10 მოხსნა), მარკოიშვილი – 6, ცინცაძე – 2 ქულა.

**მთავარი მწვრთნელი** – ილიას ზუროსი.

**ლიტვა:** კუზმინსკასი – 18, კალნიეტისი – 15, ვალანჩუნასი – 9 (9 მოხსნა), მაჩიულისი – 9, გეჩევიჩუსი– 7, ულანოვასი – 7, მოტეიუნასი – 4, მილაკნისი – 4, იუშკევიჩუსი – 2, გუდაიტისი – 2 ქულა.

**მთავარი მწვრთნელი** – დაინიუს ადომაიტისი.

**მსაჯები:** ლუის ლუსკანო (არგენტინა), მირჩა ჩოულინი (რუმინეთი), ფენერ ილმაზი (თურქეთი).

როცა რამდენიმე საკვანძო ეპიზოდში მსაჯების, რბილად რომ ვთქვათ, სადავო ჩასტვენა და მრისხანე მეტოქის 12-ქულიანი გაქცევა ვერ გაგტეხავს ფსიქოლოგიურად, ესე იგი გუნდი ხარ. ამასვე მოწმობს თამაშის წინა დღეს ზაზა ფაჩულიას მიერ სიამაყით ნათქვამი: ჩვენ უკვე ელიტის წევრები ვართო და ლიტვის კალათბურთის ფედერაციის ლეგენდარული თავკაცის არვიდას საბონისის მატჩისშემდგომი გულახდილობა – ერთ თვეში ორჯერ შემთხვევით ვერავინ იგებსო (გემახსოვრებათ, აგვისტოშივე ბალტიისპირელები მათსავე სამშობლოში დავამარცხეთ).



შეხვედრის სტატისტიკური მონაცემები ბევრს არცთუ უსაფუძვლოდ აფიქრებინებს, რომ ბრძოლა თორნიკე შენგელიას ბენეფისად იქცა, თუმცა, მოდით, ნურც ჩვენი გუნდის ბერძენ მთავარსარდალსა და დანარჩენ გმირებს ჩავუყრით წყალში ამაგს, მეტადრე თუ გავითვალისწინებთ, რომ პირადი მონაგარი, არცთუ იშვიათად, მაცდური რამაა.

თქვენის ნებართვით, ამჯერად მხოლოდ ზაზა ფაჩულიას ფაქტორზე გავამახვილებ ყურადღებას, რომელმაც კატასტროფული პირველი პერიოდის შემდეგ გადამწყვეტ მეოთხედში ჩვეულად ულიდერა პარტნიორებს და ვლანჩუნასთან პრინციპული დუელი ღირსეულად დაასრულა. არადა, ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანი ბიჭებს სარბიელზე ბოლომდე მოუშუშებელი კოჭის ტრავმით გამოუძღვა.

ეტყობა, ბედის ირონიაა, რომ პირველივე ნახევარში სწორედ კოჭი გადაუბრუნდა გიორგი ცინცაძეს, მაგრამ გუნდის სამედიცინო შტაბიდან გამოჟონილი ინფორმაცია ოპტიმისტურად განგვაწყობს და ვიმედოვნებთ, „ჯვაროსანთა“ ძირითადი გამთამაშებელი არ შეუერთდება ჩვენი ნაკრების ლაზარეთის სტაჟიან წევრებს – სანიკიძესა და ბურჯანაძეს.

### მატჩის შემდეგ

**ილიას ზუროსი:** კმაყოფილი ვარ ჩემი კალათბურთელებით. მათ გმირულად იბრძოლეს და ეს გამარჯვება სავსებით ლოგიკურია. ევროპის ჩემპიონატი ახლა დაიწყო, ჯერ პირველი შეხვედრა ჩავატარეთ და ერთი მოგება არაფერს ნიშნავს – წინ ხომ ჯგუფური ეტაპის კიდევ ოთხი თამაშია. უნდა შევინარჩუნოთ სიმშვიდე, განვაგრძოთ წინსვლა და მხოლოდ ამის შემდეგ დავტკბეთ წარმატებით. რაც შეეხება კითხვას, თუ რატომ არ ვიღიმი, გპასუხობთ: სწორედ იმიტომ, რომ ჯერ არაფერი გადაწყვეტილა. დიდი ხანია მწვრთნელად ვმუშაობ და ვიცი, რომ კარგად დაწყებული საქმის ბოლომდე ასევე მიყვანა ძალიან ძნელია.

**თორნიკე შენგელია:** ველოდოთ, რომ ბოლომდე ასეთი თანაბარი, დაძაბული, ნერვების ომი იქნებოდა. ლიტვა ჯგუფის ფავორიტია და მის დასამარცხებლად მაქსიმალური მობილიზება გვმართებდა. მაშინაც კი, როცა მეტოქემ 12 ქულით გაგვასწრო, თავი არ დაგვიხრია და ბრძოლა განვაგრძეთ, რადგან ვიცოდით, რომ შეგვეძლო გამარჯვება და შევძელით კიდეც. თურქეთისკენ, პლეი ოფისკენ პირველი, დიდი ნაბიჯი გადავდგით. სწორედ მერვედფინალში გასვლაა ჩვენი პროგრამა – მინიმუმი.

### დანარჩენი შედეგები

**„ა“ ჯგუფი.** სლოვენია – პოლონეთი 90:81, საბერძნეთი – ისლანდია 90:61, ფინეთი – საფრანგეთი 86:84 (დამატებით დროში, ძირითადი დრო 72:72).

**„ბ“ ჯგუფი.** გერმანია – უკრაინა 75:63, იტალია – ისრაელი 69:48.

**დღეს.** საქართველო – გერმანია (16 საათსა და 45 წუთზე).

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ დღეს თბილისში...

# საჭადრაკო ელიტა იწყებს...

**ქართველ მოჭადრაკეებს მსოფლიო თასის პირველივე წრეში რთული შეხვედრები ელით.**

მათგან ყველაზე ძლიერი მეტოქე ნანა ძაგნიძეს შეხვდა. მას მსოფლიო ტოპ-15-ის წარმომადგენელთან, ჰოლანდიელ ანიშ გირისთან მოუწევს დაპირისპირება, ხოლო ქართული ჭადრაკის ლიდერი ბაადურ ჯობავა ახალგაზრდა ესპანელ ვარსკვლავს ლოპეს სალგადოს შეხვდება.

რეიტინგ-სიით უფრო ძლიერებთან მოუწევთ პაექრობა: მიხეილ მჭედლიშვილს - ევროპის 2016 წლის ჩემპიონ ერნესტო ინარკიევთან, ლევან ფანცულაიას კი – პოლონელ იან დუდასთან.




რიგით IX მსოფლიო თასის გათამაშებას დღეიდან 28 სექტემბრის ჩათვლით თბილისი მასპინძლობს და ასპარეზობაში 48 ქვეყნის 128 მოჭადრაკე მონაწილეობს.

**კობა კობახიძე**

◎ ფეხბურთი

# გავტეხოთ ნავსი!

**თავმოყვარე გუნდი ისეთ მეტოქესთან, რომელიც ბრძოლისუნარიანობითა და ოსტატობით დიდად არ აღემატება, ზედიზედ 8 შეხვედრას არ უნდა აგებდეს. არადა, სამწუხაროდ, სწორედ ასეთი სამარცხვინო ბალანსი გვაქვს ირლანდიელებთან, ვისაც დღეს 20 საათზე ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ მუნდიალ – 2018-ის ჯგუფურ რაუნდში ვმასპინძლობთ.**

ბოლოს და ბოლოს, მოვიდა დრო, ვლადიმერ ვაისის დამოძღვრილმა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა, ტრავმების ეპიდემიის მიუხედავად, სლოვაკი მსაჯების „შემწეობით“, ნავსი გატეხოს და „სამყურები“ მტკვრის ნაპირებიდან გაწბილებულნი გაუშვას.

მით უმეტეს, „ჯვაროსანმა“ კალათბურთელებმა თანამემამულე ფეხბურთელებს ბრწყინვალე მაგალითი მისცეს.

მოკლედ, ჰა ბურთი და ჰა მოედანი.

**საქართველო:**

**მეკარეები:** მაკარიძე, კვასხვაძე, რევიშვილი;

**მცველები:** კაკაბაძე, ლობჟანიძე, კაშია, კვირკველია, ტაბიძე, ხოჭოლავა, ნავალოვსკი, შერგელაშვილი;

**ნახევარმცველები:** კვეკვესკირი, დაუშვილი, კანკავა, გვილია, აბურჯანია, ანანიძე, ყაზაიშვილი, მერებაშვილი, ჯიღაური, ჭანტურია;

**თავდამსხმელები:** დვალიშვილი, არაბიძე, ქვილითაია, სიხარულიძე.

**გიორგი შოთაძე**

# ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვებები წყლის დებიტზე, ტემპერატურასა და ქიმიურ შედგენილობაზე;<br>ბ) მონიტორინგის მასალებზე დაყრდნობით, ლიცენზიის მიღებიდან არაუმეტეს 2 (ორი) წლის ვადაში, უზრუნველყოს წყლის მარაგების გამოთვლა და მარაგების ანგარიშის შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა;<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს სანიტარული ზონების დაცვა;<br>დ) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში უნდა უზრუნველყოს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი;<br>ე) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2017 წლის 16 მარტის №1/6 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ხოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ხოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე. ზემოაღნიშნული თანხის გადახდისა და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების განხორციელების შემდეგ, ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია, განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს წყაროს შემოღობვა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს მინერალური წყლის საბადოსა და წყლის ჩამომსხმელ საწარმოს შორის წყლის ტრანსპორტირება, მხოლოდ მათი დამაკავშირებელი მილსადენის საშუალებით.<br>თ) მოპოვებული მიწისქვეშა მინერალური წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ი) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>ლ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>მ) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს კაპიტალურად დაკაპტაჟება;<br>ო) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში;<br>პ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;<br>ჟ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>რ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, „საქართველოს ტყის კოდექსით", „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. ცემის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მინერალური წყლის შესწავლა-მოპოვება. |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. ცემის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 4 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 2 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 2 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 2 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |



## ბოლო ცნობები აბასთუმნიდან

შს მინისტრის განცხადებით, აბასთუმანში ხანძრის ღია კერები არსად აღარ არის და ამჟამად სალიკვიდაციო სამუშაოები მიმდინარეობს. მისივე თქმით, ცოცხალი ძალა ჯერჯერობით იმავე რაოდენობით რჩება, რაც აქამდე იყო მობილიზებული:

